

# იიელ +

ყოველთვიური საგანმანათლებლო-საინტორმაციო უწრნალი შეზღუდული  
შესაძლებლობების მქონე პირებისათვის

1713  
2009

№ 8, იქნებოდებო, 2009



კოალიციამ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ლოგო  
შეიცვალა, მისია კი ცოცხლობს და გრძელდება



ორთოჯორვების მიერ წარმოებული ნებისმიერი პროდუქცია  
საერთაშორისო ხარისხისაა, ხოლო ფასი 3-4-ჯერ ნაკლებია  
ვიდრე უცხოეთის ქვეყნებში

UDC(uak) 050-056.  
26+369.25+368. 945-0 -474

## სარგებლობის საბჭო

თემურაზ მიქიაშვილი  
კარლო მუშკუდიანი

## მთაგარი რედაქტორი

თემურაზ მიქიაშვილი  
ტელ 893335887

გამოცემის  
რედაქტორი:

კარლო მუშკუდიანი  
ტელ.: 897203960

## დონაციერი

გიორგი ჯვარშვილი

## გამოცემები:

კავშირი „იმედი+“

საპონტაქტო  
06 გორგაცია

ქურნალი „იმედი+“

ს.ჩიქოვანის ქ.14  
ტელ.: + 995(32) 365627  
ელ ფოსტა:  
pr\_imediplus@yahoo.com

ქურნალი რეგისტრირებულია  
საქართველოს იუსტიციის  
სამინისტროში  
რეგისტრაციის ნომერი:  
01343/12/0726

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური	2
ასამბლეის რეზოლუცია	2
სული დასხეული	5
რატომ და როგორ უნდა შევიცვალოთ მე და თქვენ	7
ვალეოლოგიური განათლება — წარმატებული	
სახელმწიფოს სავიზიტო ბარათია	10
პირველადი დახმარება ხერხემლის კისრის ნაწილის	
დაზიანების დროს	11
დაიბრუნე შენი დამოუკიდებლობა	12
რა არის ადაპტიური ფიზიკური აქტივობა	14
რეაბილიტაციის ტექნიკური საშუალებები	15
რეაბილიტაციის ახალი ტექნიკური საშუალებები	17
ბოლნისში, დავით ალმაშენებლის ქუჩაზე „განთიადია“	19
პარაოლიმპიური ამბები	22
ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში უსინათლოთა შორის	23
ნათესაური ქორნინება და მისი შედეგები	24
დაუნის სინდრომი	25
წმიდა დიდმონამენი, არგვეთის მთავარნი	
დავითი და კონსტანტინე	26
კონტრაქტურები	27
გურიის რეგიონის ინვალიდთა ასოციაციის	
მორიგი პროექტი წარმატებით სრულდება	28
მცხეთობა-სვეტიცხოვლობა	29
სამადლობელი წერილი	29
ძალის განმავითარებელი ვარჯიშები	30
მოზაიკა	32

## ჟურნალი ვრცელდება უფასოდ

გარეკანის პირველ გვერდზე – 2008 წლის პერიოდის ზაფხულის პარ-

ოლიმპიური თამაშების გახსნის ეპიზოდი – პაროლიმპიური ჩირალდ-

ნის გადაცემა

გარეკანის ბოლო გვერდზე – სვეტიცხოველი



იბეჭდება ფონდი ღია საზოგადოება-საქართველოს  
მხარდაჭერით

## ჟურნალი გამოდის 2009 წლის იანვრიდან

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უპრუნდება. რედაქციის მოსაზრება შეიძლება არ ემთხვეოდეს სტატიის ავტორის მოსაზრებებს. უურნალში გამოქვეყნებული ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს სტატიის ავტორი. უურნალისტის მიერ ჩანარილი აუდიო მასალა ინახება ერთი თვის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

უურნალში გამოქვეყნებული სტატიებისა და ფოტოსურათების გადაბეჭვდა რედაქციასთან შეთანხმების გარეშე აკრძალულია. სარეკლამო მასალების შინაარსსა და სტილზე პასუხისმგებელია შეკვეთი.

№ 8, თებერვალი, 2009

გამოცემა, დასაზუსტი №3, №4

გაერთიანებული  
ერების ორგანიზაცია

გენერალური ასამბლეა

/RES/48/96  
4 მარტი 1994

ორმოცდამერვე სესია პუნქტი 109  
დღის წესრიგი 48/96.

გენერალური ასამბლეა რეზოლუცია

ინვალიდთათვის თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფის  
სტანდარტული წესები

შიდა არსების მიზანი

ინვალიდთათვის თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფის  
თანაბარ შესაძლებლობათა შექმნის მიზნობრივი სფეროები

წესი 8. შემოსავლის შენარჩუნება და სოციალური უზრუნველყოფა

სახელმწიფოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ინვალიდთა სოციალური უზრუნველყოფისა და მათი შემოსავლის შენარჩუნებისათვის.

1. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ინვალიდთა შემოსავლის შენარჩუნება, რომელთაც შრომისუუნარობის ან შრომისუუნარობასთან დაკავშირებული მიზეზების გამო დროებით დაკარგეს საარსებო სახსრების გამომუშავების შესაძლებლობა, ან შემოსავალი შეუმცირდათ ან არ აქვთ სამუშაოს შოვნის შესაძლებლობა. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რათა დახმარების აღმოჩენის დროს გათვალისწინებულ იქნეს დანახარჯები, რისი გაღებაც ინვალიდობის გამო ხშირად უწევთ ინვალიდებსა და მათ ოჯახებს.

2. ქვეყნებში, სადაც არსებობს ან იქნება სოციალური უზრუნველყოფის, სოციალური დაზღვევის სისტემები ან მთელი მოსახლეობის დახმარების სხვა მსგავსი სისტემები, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რათა ასეთი სისტემები არ უგულებელყოფდეს ინვალიდთა ინტერესებს და არ იყოს მათ მიმართ დისკრიმინაციული.

3. სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ იმ პირთა მატერიალური დახმარება და სოციალური დაცვა, რომლებმაც ინვალიდის მოვლა იკისრეს.

4. სოციალური უზრუნველყოფის სისტემებში გათვალისწინებული უნდა იყოს ღონისძიებები ინვალიდთა პოტენციალის აღსადგენად შემოსავლის მიღების თვალსაზრისით. ეს სისტემები ასევე უნდა ითვალისწინებდეს პროფესიულ-ტექნიკური სწავლების ორგანიზებას, განვითარებასა და დაფინანსებას და ამგვარი სწავლებისადმი მხარდაჭერას. მათ აგრეთვე ხელი უნდა შეუწყონ იმ სამსახურებს, რომელიც უზრუნველყოფენ დასაქმებას.

5. სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები ასევე უნდა დღევდეს სტიმულს თვით ინვალიდების ძალისხმევას სამუშაოს საძებნელად, რაც მათ შემოსავალს მისცემდა ან შემოსავალს აღუდენდა.



6. მატერიალური დახმარება ინვალიდებს მანამ უნდა გაეწიოს, სანამ გაგრძელდება ინვალიდობის მდგომარეობა, თანაც იმდაგვარად, რომ ინვალიდები ცდილობდნენ სამუშაოს მოძებნას. ამგვარი დახმარება უნდა შემცირდეს ან შეწყდეს მას შემდეგ, რაც ინვალიდი დაიწყებს ადექვატური ან გარანტირებული შემოსავლის მიღებას.

7. სახელმწიფოებში, სადაც სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მომსახურებას მნიშვნელოვან-ნილად კერძო სექტორი ახორციელებს, უნდა წახალისდეს ადგილობრივი თემები, საქველმოქმედო ორგანიზაციები და ოჯახები, რათა მათ შეიმუშაონ საკუთარი ღონისძიებები და სტიმულები ინვალიდთა დასაქმებისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

## ცენტრული ცხოვრება და პიროვნების თავისუფლება

სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ინვალიდებს ოჯახურ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის სრული უზრუნველყოფის მიზნით. სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ ინვალიდთა უფლებებს პიროვნული თავისუფლების თვალსაზრისით და უზრუნველყონ, რათა კანონმდებლობაში არ იქნეს დაშვებული დისკრიმინაცია ინვალიდთა მიმართ, რაც ეხება სქესობრივ ურთიერთობებს, ქორწინებასა და დედობას ან მამობას.

1. ინვალიდთათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს თავიანთ ოჯახებთან ერთად ცხოვრების შესაძლებლობა. სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ, რათა ოჯახის საკითხებთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურება შეიცავდეს შესაბამის მომსახურებას, რაც ეხება ინვალიდობასა და ოჯახურ ცხოვრებაზე მის გავლენას. ოჯახებს, სადაც არიან ინვალიდები, უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა ისარგებლონ საპატრონაჟო მომსახურებით, აგრეთვე ჰქონდეთ დამატებითი შესაძლებლობები ინვალიდთა მოსავლელად. სახელმწიფოებმა უნდა აღმოფხვრან ყველა გაუმართლებელი დაბრკოლება იმ პირთათვის, რომელთაც სურთ მოუარონ ან იშვილონ ინვალიდი ბავშვი ან ინვალიდი მოზრდილი.

2. ინვალიდები არ უნდა იყვნენ მოკლებული შესაძლებლობას იგრძნონ თავი სრულფასოვან პიროვნებად სქესობრივ ურთიერთობაში, იქონიონ სქესობრივი კავშირი და ჰყავდეთ ბავშვები. იმის გათვალისწინებით, რომ ინვალიდები შეიძლება განიცდიდნენ სიძნელებს ქორწინების ან ოჯახის შექმნისას, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მათთვის შესაბამისი კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა. ინვალიდებს საზოგადოების სხვა წევრების თანაბრად უნდა მიუწვდებოდეს ხელი ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე, აგრეთვე მათთვის გასაგები ფორმით მიეცეთ ინფორმაცია მათი ორგანიზმის სქესობრივ ფუნქციებზე.

3. სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ნეგატიური სტერეოტიპების აღმოფხვრას ინვალიდთა ქორწინებისას, მათი სქესობრივი ცხოვრებისა და ბავშვის ყოლის უფლების საკითხებთან დაკავშირებით, რაც ჯერ კიდევ არსებობს საზოგადოებაში, განსაკუთრებით ინვალიდ გოგონათა და ქალთა მიმართ. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უნდა წახალისდნენ, რათა მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ამ ნეგატიურ სტერეოტიპებთან ბრძოლაში.

4. აუცილებელია ინვალიდთა და მათი ოჯახების ყოველმხრივი ინფორმირება იმის თაობაზე, თუ როგორ დაიცვან თავი სექსუალური და სხვა ფორმის ძალადობისაგან. ამ მხრივ ინვალიდები განსაკუთრებით დაუცველნი არიან ოჯახში, თემში ან სამკურნალო დაწესებულებებში და საჭიროებენ იმ საკითხში გაცნობიერებას, თუ როგორ აარიდონ თავი ძალადობას, როგორ გაარკვიონ, როდის ხდება ასეთი ხელყოფა და როგორ შეატყობინონ ასეთი შემთხვევების თაობაზე.

## ცენტრული კულტურა

სახელმწიფოები უზრუნველყოფებ ინვალიდთა ჩაბმას კულტურულ ცხოვრებაში, მათი მონაილეობის შესაძლებლობას.

1. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რათა ინვალიდებს, რომლებიც ცხოვრობენ როგორც ქალაქად, ისე სოფლად, ჰქონდეთ შესაძლებლობა გამოიყენონ თავიანთი შემოქმედებითი, მხატვრული და ინტელექტუალური პოტენციალი არა მარტო თავიანთი თავის საკეთილდღეოდ, არამედ მთელი საზოგადოების გასამდიდრებლად. ასეთი მოღვაწეობის ნიმუშებია ქორწოვრაფია, მუსიკა, ლიტერატურა, თეატრი, ხელოვნების პლასტიკური სახეები, მხატვრობა და ქსოვა. განსაკუთრებული ყურადღება, უპირატესად განვითარებად ქვეყნებში, უნდა მიეცეს ხელოვნების ისეთ ტრადიციულ და თანამედროვე სახეებს, როგორიცაა თოჯინური დადგმები, ლექსების დეკლამირება და პროზაული ნაწარმოებების საჯარო კითხვა

2. სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ისეთი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მისაწვდომობას, როგორიცაა თეატრები, მუზეუმები, კინოთეატრები და ბიბლიოთეკები და ასე-თი დაწესებულებებით სარგებლობის შესაძლებლობას.

3. სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ და გამოიყენონ სპეციალური ტექნიკური საშუალებები ლიტერატურული ნაწარმოების, ფილმებისა და თეატრალური დადგმების ინვალიდთა მიერ მისაწვდომობის გაფართოების მიზნით.

#### ცესი 11. დასვენება და სპორტი

სახელმწიფოები მიიღებენ ზომებს ინვალიდთა დასვენებისა და სპორტით მეცადინეობის თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველსაყოფად.

1. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები ინვალიდთა მიერ დასასვენებელი და სპორტში მეცადინეობის ადგილების, სასტუმროების, პლაჟების, სპორტული მოედნების, სპორტული დარბაზებისა და ა.შ. მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ეს ღონისძიებები უნდა შეიცავდეს პერსონალის მხარდაჭერას, რომელიც ახორციელებს დასვენებისა და სპორტით მეცადინეობის პროგრამებს, მათ შორის, პროექტებს, რომელიც ითვალისწინებს მისაწვდომობის უზრუნველყოფის მეთოდების შემუშავებას, აგრეთვე საინფორმაციო და სახელმძღვანელო პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის უზრუნველყოფას.

2. ტურისტულმა ორგანიზაციებმა, სამოგზაური ბიუროებმა, სასტუმროებმა, საზოგადოებრივმა და სხვა ორგანიზაციებმა, რომლებიც აწყობენ დასვენებასა და მოგზაურობას, მომსახურება უნდა გაუწიონ უკალებლივ ყველას, ამასთან, უნდა გაითვალისწინონ ინვალიდთა განსაკუთრებული მოთხოვნილებანი. ამ მიზნის მისაღწევად უნდა მოეწყოს კადრების სათანადო მომზადება.

3. სპორტული ორგანიზაციები უნდა წახალისდნენ, რათა გაფართოვდეს სპორტულ ღონისძიებებში ინვალიდთა მონაწილეობის შესაძლებლობები. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი მონაწილეობის მისაღებად საკმარისია ამ ღონისძიებებისადმი ინვალიდთა მხოლოდ მისაწვდომობის უზრუნველყოფა. სხვა შემთხვევებში აუცილებელია მოეწყოს სპეციალური ღონისძიებები ან სპეციალური თამაშები. სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ ინვალიდთა მონაწილეობას ეროვნულ და საერთაშორისო შეჯიბრებებში.

4. ინვალიდთათვის, რომლებიც მონაწილეობენ სპორტულ ღონისძიებებში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სწავლებისა და წვრთნის ისეთივე შესაძლებლობანი, როგორიც სხვა სპორტსმენებისათვის.

5. ინვალიდთათვის გამიზნული ღონისძიებების დაგეგმვისას სპორტულ შეჯიბრებათა და დასვენების ორგანიზატორებმა უნდა მოაწყონ კონსულტაციები ინვალიდთა ორგანიზაციებთან.

#### ცესი 12. რელიგია

სახელმწიფოები წახალისებენ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია თემთა რელიგიურ ცხოვრებაში ინვალიდთა თანასწორი მონაწილეობის უზრუნველყოფა.

1. სახელმწიფოებმა რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან კონსულტაციებისას უნდა წახალისონ რელიგიურ ცხოვრებაში ინვალიდთა დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და მისაწვდომობის უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

2. სახელმწიფოებმა უნდა წახალისონ ინფორმაციის გავრცელება იმ საკითხებზე, რომელიც ეხება ინვალიდებს, რელიგიურ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის. სახელმწიფოებმა, აგრეთვე, უნდა წახალისონ რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლები, რათა ინვალიდთა მიმართ პოლიტიკის თაობაზე ინფორმაცია შევიდეს სასულიერო პირთა მომზადების პროგრამაში, აგრეთვე, რელიგიური აღზრდის პროგრამებში.

3. მათ აგრეთვე უნდა წახალისონ რელიგიური ლიტერატურისადმი იმ პირთა მისაწვდომობა, რომლებიც დაავადებული არიან სენსორული დეფექტებით.

4. სახელმწიფოებმა ან რელიგიურმა ორგანიზაციებმა უნდა მოაწყონ კონსულტაციები ინვალიდთა ორგანიზაციებთან იმ ღონისძიებათა შემუშავებისას, რომელთა მიზანია ინვალიდთა თანასწორუფლებიანი მონაწილეობა რელიგიურ საქმიანობაში.

# სული და სხეული

მიხეილ შაიცერი

სულის სხეულზე ზემოქმედების პრობლემას ძალიან დიდი ისტორია გააჩნია. მიუხედავად ამისა, მასზე ბევრი იწერება და მრავალი კიდევ დაიწერება. ამის მიზეზი კი იმაში მდგომარეობს, რომ უმრავლეს შემთხვევაში, თვით ადამიანია თავისა, როგორც დაავადების, ასევე ჯანმრთელობის მოზეზი.

სურდა რა გაეგო საკუთარი ფიზიკური და სული-ერი უძლურობის მიზეზი, გერმანელი მეცნიერი – ექიმი ვალდერშტაინი წერდა – „რატომ არ შეიძლება ერთხელ და სამუდამოდ გადავწყვიტო, რომ ვიყო ჯანმრთელი?“. „თვითშთაგონების“ მეთოდის ავტორი, ემილ კოე, უთუოდ მართალია, რომ იძახდა „ადამიანის ავადმყოფური ნარმოსახვა ყველა სხეულების ნარმოშობის მთავარი მიზეზია“. და, მართლაც, თუ გვინდა რომ ჩვენი ორგანიზმი ნორმალურად ფუნქციონირებდეს, ვიყოთ სულ ამაღლებულ განწყობაზე, არ დაგვეკარგოს სულიერი კომფორტის გრძნობა და ოპტიმიზმი, უნდა გავვაჩნდეს საკუთარი ჰარმონიული გონება. არ შეიძლება შიშით, მრისხანებით, სინანულით, სიჯიუტით, წყენით ცხოვრება და ამასთან ერთად იმედი გვქონდეს, რომ საკუთარი ორგანიზმის ცხოველმოქმედებაში ყველაფერი კარგად იქნება.

დადგენილია, რომ ხანგრძლივი სტრესული მდგომარეობა იწვევს ადამიანის ორგანოებისა და ფუნქციების ცვლილებებს. სტრესი და ემოციური დაძაბულობა არსებითად აქვეითებს ორგანიზმის ნინაალმდეგობის უნარს და ამის გამო ყველა დაავადება შეიძლება ჩაითვალოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების შედეგად განპირობებულ დაავადებად. ექიმებს ამაში ეჭვი არ ეპარება. სპეციალისტები, მხოლოდ შეფასების რაოდენობაში ვერთანანმდებიან: ერთი ამბობენ 50-ს, მეორენი 70-%-ს, ხოლო ცნობილი კანადელი ფსიქოლოგი, ფრანს სელი დაავადებათა 100%-ს თვლის ფსიქოსომატურ დაავადებად. მათ შორის მოიაზრება ინფექციური დაავადებებიც, რადგან ფსიქოლოგიური სტრესი, აქვეითებს რა ორგანიზმის იმუნიტეტს, დაავადებების მიმართ ნინაალმდეგობის უნარიანობას, ორგანიზმს ქმნის პრაქტიკულად დაუცველა.

იმის შესახებ, რომ გამარჯვებულთა ჭრილობები მალე ხორცდება, ვიდრე დამარცხებულების, იცოდნენ რომაელმა მეორებმა ჯერ კიდევ ჩვენს წელთა აღრიცხვამდე. საკუთარი ცხოვრებით ბედნიერი ადამიანები გაციებითაც კი ცოტას ავადდებიან. ეს მაგალითები თვალნათლივ ადასტურებენ ადამიანის ემოციური ცენტრების და იმუნური სისტემის ღრმა ურთიერთკავშირს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი განწყობილება ძლიერ ზეგავლენას ახდენს ჯირკვლების მოქმედებაზე, რომლებიც ადამიანის ორგანიზმის ცხოველმოქმედიბაში უდიდეს როლს ასრულებენ..

საკმარისია მოვიგონოთ ბავარიის მეცნიერებათა

აკადემიის 73 წლის პრეზიდენტი, ჰიგიენის პროფესორი მაქს ფონ ბეტენკოფერი, რომელმაც 1892 წლის 7 ოქტომბერს რობერტ კოხთან შეკამათების შემდეგ, უშიშრად გადაყლაპა ხოლერის ვიბრიონის კულტურა, იმ რაოდენობით, რაც მთელ პოლკს ეყოფოდა გასანადგურებლად, მაგრამ გადარჩა. ამ გმირობის ჩამდენმა პეტენკოფერმა 1901 წლის 21 თებერვალს თავი მოიკლა იმიტომ, რომ ეშინოდა დაუძლურების და დაჩაჩანაკების. ასე, რომ ევროპაში პირველი ჰიგიენური ინსტიტუტის დამარსებელი და დამფუძნებელი, რომელმაც გაიმარჯვა ხოლერაზე, დამარცხდა შიშთან.

მედიცინამ იცის მრავალი ისტორიული მაგალითი, სადაც ემოციურმა განცდებმა სიცოცხლე მოუსწრაფეს ადამიანებს. — ტრაგედიების დიდი ოსტატი ჟან რასინი, რომელიც ლუდოვიკო X IV-ის კამერგერი და ისტორიოგრაფი იყო, გარდაიცვალა 60 წლის ასაკში იმიტომ, რომ მეფემ მას, სულ რაღაც, მისალმებაზე არ უპასუხა. სახლში დაბრუნებული რასინი ლოგინში ჩაწვა და საღამო ხანს გარდაიცვალა. რასინის უდროო გარდაცვალებამ ძალიან გააოცა მისი მეგობრები, რადგან დრამატურგი გამოირჩეოდა შესანიშნავი ჯანმრთელობით.

გასულ საუკუნეში ფრანგმა მეცნიერებმა სიკვდილმისჯილ პატიმრებზე ჩაატარეს ცდა. ექიმები სიკვდილმისჯილებს წინასწარ ეუბნებოდნენ, რომ მათი დასჯა განხორციელდებოდა ვენების გადახსნით. გამოჰყავდათ თვალებახვეული და ორივე ხელის ვენაზე უბრალოდ გადაუსვამდნენ არამჭრელ საგანს. ეს ექსპერიმენტი ყოველთვის სიკვდილით მთავრდებოდა. ამაოდ კი არ ამბობენ, რომ ადამიანის სიცოცხლის შემოკლების მიზეზთა შორის უპირატეს ადგილს დარდი, მწუხარება, სულმოკლება, შური, სიძულვილი, შიში და ყოველგვარი უარყოფითი განცდა იკავებს.

სტრესები და ემოციური განცდები ნაადრევად აბერებს და აუძლურებს ადამიანს. „მწუხარება აბერებს, სიხარული კი აახალგაზრდავებსო“ — არის ასეთი გამონათქვამი და მასში მართლაც არის ჭეშმარიტება. ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ბიოენიურ რეაქციებზე ძალიან აისახება როგორც ფიზიკური, ასევე მენტალური პროცესების ზემოქმედება. ადამიანებს ცხოველებისაგან განსხვავებით შეუძლიათ გონებისა და ნებისყოფის დახმარებით გარკვეული მიმართულებით შეცვალონ მათში მიმდინარე „ქიმიური რეაქციები“. პრუსიის მეფის ლეიბექიმი, ცნობილი მეცნიერი ქრისტოფ გუფელანდი (1762-1832), წერდა: „ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ შეიძლება ადამიანი დაავადდეს ავადმყოფობის ნარმოდგენის და მასზე ფიქრის გამო. რატომ არ უნდა ნარმოვიდგინოთ თავი ჯანმრთელად, რომ გამოვჯანმრთელდეთ, რატომ არ უნდა

ვეცადოთ, რომ ვმართოთ ჩვენი წარმოდგენები?“. კითხვა მართლაც აქტუალურია. უფრო მეტიც, 177 წლის წინ დასმული კითხვა დღესაც არ გვაძლევს მოსვენების საშუალებას. მაგრამ, შეიძლება კი ემოციების იმიტაციის საშუალებით მოვატყუოთ ჩვენი ორგანიზმი? იქცევიან ისინი ნამდვილ განცდებად?

ცნობილია რომ ამერიკული ლიმილი — მომსახურების სფეროს „ფირმული ნიშანია“. ამერიკელი სუპერმარკეტების მფლობელები გამყიდველებისაგან ითხოვენ ლიმილს, ლიმილსა და მხოლოდ ლიმილს. გოგონების მტკიცებით, ცუდი განწყობილება საგრძნობლად უკეთესი ხდება გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. ამას ამტკიცებს ჯეიმს-ლანგეს ემოციის თეორიაც — “ჩვენ იმიტომ კი არ ვიცინით რომ ჩვენ გვეცინება, არამედ ჩვენ გვეცინება იმიტომ, რომ ჩვენ ვიცინით”. თვითონ დარწმუნდით: გაიკეთეთ გრიმასა, და თქვენ თვითონ განიცდით ამ გრძნობას. ჩამოუშვით ხელები, მოადუნეთ მუხლები, წარმოიდგინეთ თავი მოწყენილად — და რამოდენიმე ხნის შემდეგ გაგიფუჭდებათ ხასიათი. ასე ვართ ჩვენ მოწყობილები. ასეთია ჩვენი ფსიქიკის კანონები. „კარგი“ ადამიანის როლის გათამაშების დროს თავის საქმეს აკეთებს უკუკავშირის რეაქცია, და ადამიანი იქცევა იმად, რა როლსაც თამაშობს. ეს ჩვენგან შექმნილი “სულის ნიღაბი” ჩვენშივე მტკიცდება და იცვლება ჩვენი ხასიათიც.

ავადმყოფური აზრები — ავადმყოფ ადამიანს ქმნის. ეს ადამიანებმა უხსოვარი დროიდან იცოდნენ და ამიტომ ცდილობდნენ ებრძოლათ იმ განცდებისა და ემოციების წინააღმდეგ, რომლებიც ავადმყოფურ გავლენას ახდენენ მათზე.

თავის დროზე ვიღპელმ ფრაიპერ ფონ ჰემბოლტ-მა (1767-1835) გამოთქვა ოპტიმისტური მოსაზრება იმის შესახებ, რომ დროთა განმავლობაში ავადმყოფობა განხილული იქნებოდა, როგორც აზროვნების დამახინჯებული გამოვლინება და ამიტომ, ავადმყოფობა იქნებოდა სირცხვილი. მისმა შეგობარმა, იოან ვოლვგანგ გოეთემ (1749-1832), არსებითად, პოეტური ფორმით გაიმეორა ეს იდეა — „ჩვენში იფურჩენება ყველაფერი რითაც ვსაზრდოობთ, ასე-თია ბუნების მუდმივობის კანონი“

როგორც ბიოგრაფები ამტკიცებენ, დიდ გერმანელ ფილოსოფოსს იმანუილ კანტს ბუნებით

მიდრეკილება ჰქონდა ავადმყოფობისადმი. თუმცა მისი ნებისყოფის წყალობით მან შესაძლებელი გახდა შეეჩერებინა ავადმყოფობისადმი მიდრეკილება. თავისი სხეულის სისუსტეს ის ალიქვამდა ისე, თითქოს ეს მას არ ეხებოდა, უბრალოდ, იგნორირებდა მას. თავი ისე მოჰქონდა, როგორც ჯანმრთელ ადამიანს. ”დაძაბული, შებოჭილი ადამიანი — ამბობდა კანტი — ისე უნდა იქცეოდეს, თითქოს სრულიად თავისუფალი, დაწყნარებული და განტვირთულია, იმიტომ, რომ გარეგანი საქციელი აისახება სულიერ შინაგან მდგომარეობაზე. იდეალური სახის განსახიერებისათვის სერიოზული თამაში უნდა გაგრძელდეს მანმადე, სანემ ეს სახე არ გადიქცევა მეორე ბუნებად“.

სულიერების სიდიადის და მისი გარდაუვალი გამარჯვების დაუღალავი პროპაგანდისტი იყო პრენტის მაღალრდი, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა გაანალიზა ფიზიკური და ფსიქიკური მოვლენების დამოკიდებულება მათი ურთიერთზეგავლენის გათვალისწინებით. ის ამბობდა “თუ შენი სხეული შეწუხებულია დაავადებებით, იფიქრე არა მათზე, არამედ იმ სრულყოფილების ხატზე, რომელიც შენ წარმოგიდგნია შენში. შენს სხეულში და მის ყოველ უჯრედში არის შენი სულის ძალა. შენი შინაგანი ხედვით შენს თავს უნდა ჭვრეტდე ჯანმრთელ, სიცოცხლისმიყვარულ და აქტიურ ადამიანად მაშინაც კი, თუ ამ დროს ავადმყოფობდა ლოგინზე ხარ მიჯაჭვული. წარმოიდგინე თავი სპორტსმენად, რომელიც წარმატებით გამოდის შეჯიბრებებში, აჩვენებს მაღალ შედეგებს და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გამარჯვება. მაშინ, შენი შინაგანი ძალები გაიღვიძებენ და ჩაერთვებიან ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ყოველ დილით უმტკიცე შენს თავს, რომ დღეს უკეთ გრძნობ თავს, ვიდრე გუშინ, გაიმეორე მრავალჯერ შენთვის ცხადში და სიზმარში, სანამ ეს რწმენა სინამდვილეში არ გადაიქცევა“.

ეს ყველაფერი ისტორიული პრაქტიკით დადასტურებულია და რადგანაც დადასტურებული და აღიარებულია, მაშასადამე, ეს მოყვანილი ყველას-თვის შესაძლებელი უნდა იყოს. ისლა დაგვრჩენია, რომ ბოლოს დავამატოთ — “ვასიმულიროთ ჯანმრთელობა ... ჯანმრთელობისათვის“.

## განცხადება

2010 წლის 1 ივლისიდან 10 ივლისის ჩათვლით ქ.თბილისში ჩატარდება სილამაზის კონკურსი, სადაც გამოვლინდება ყრუთა „მის მსოფლიო“ და „მის ევროპა“. მიმდინარეობს გოგონების რეგისტრაცია საქართველოს ყრუთა კავშირში, სადაც შეირჩევა კანდიდატები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ „მის მსოფლიოს“ და „მის ევროპას“ სილამაზის კონკურსში.

საქართველოს ყრუთა კავშირი  
საკონტაქტო ტელეფონები 34 16 21;  
მობ. 877 456 615 მაია მეტონიძე

# ჩატომის და ჩობონის უცხოსტაციონი ერთობლივი თავი

თამარ პაპუაძე

გამოცემის დასახური №7.

ავტორის თანხმობით სტატია გადმობეჭდილია უკრაინის „ცხელი შოკოლადის“ 48-ე ნომერიდან

## მსოფლიო – „ჩვენ“

„პირველ ნაბიჯში“ მთავარ აღმზრდელს დედა ჰქვია, მის დამხმარეს — დედა. თუმცა, თავი-დან მხოლოდ მსგავსი ტერმინოლოგიური ნოვა-ციები პატარებთან არ ჭრიდა. თუნდაც მხოლოდ ბავშვებთან ყოველდღიური ურთიერთობისთვის საჭირო იყო ქართული საგანმანათლებლო სისტემისთვის სრულიად უცხო და სპეციფიკური განათლება. ამიტომ „პირველი ნაბიჯის“ სპეციალისტებმა, ბავშვების აღზრდის პარალელურად, თვითგანათლებაზე ფიქრიც დაიწყეს.

თამუნა ზაალიშვილს „პირველ ნაბიჯში“ სოციალური და ტრენინგების მიმართულება აპარია. მისი საქმეა ბავშვებზე ზრუნვა, მათ მიმართ განცდილი სიყვარული, ემოციები და სენტიმენტები პროექტებად და გეგმებად გარდაქმნას, მოიფიქროს, როგორ და რა გარემოში განვითარდებიან პატარები უკეთ. მანამდე კი იგივე სახის ცოდნა რამდენიმე კოლეგასთან ერთად დუბლინში, სენტ მაიკლის სახლში დაიგროვა. ეს ორგანიზაციაც „პირველი ნაბიჯის“ მსგავსი პროფილით მუშაობს, თუმცა, 50 წლის წინ დაარსდა და მსოფლიოში ერთ-ერთ სამაგალითო სისტემად ითვლება.

სწორედ ამ დაწესებულებაში „პირველი ნაბიჯის“ სპეციალისტებს ასწავლეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან ურთიერთობის მთავარი პრინციპი: არ არსებობს — „ისინი და ჩვენ“, არსებობს მხოლოდ — „ჩვენ“. ვიდრე ამას გულწრფელად არ დაიჯერებ, არაფერი გამოგივა.

თამუნა მიამბობს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კურსის შესახებაც, რომელსაც პირვენებაზე ცენტრირებული დაგეგმვა ჰქვია. ცენტრირებული იმიტომ, რომ ეს კონცეფცია ცენტრში აყენებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანის პირად ინტერესებს და ხასიათს და არა მის დიაგნოზს. როდესაც დავივინებთ დიაგნოზს და ყურადღებას გავამხვილებთ იმ უნარებზე, რაც ამ ადამიანს აქვს, უკვე შესაძლებელი გახდება მისი პიროვნული განვითარება იმ დონეზე, რომ ის საზოგადოების სრულფასოვანი ხევრი გახდეს. ამ კონცეფციის მიხედვით, ადა-



მიანის საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაცია შეუძლებელია, თუ მას კვლავაც ძველმოდური ყაიდის, დიდ ინსტიტუციაში ვაცხოვრებთ — ფართო საზოგადოებისგან დამალულად. შედეგი მხოლოდ მაშინ გახდება ხილული, თუ ამ ადამიანებს ბავშვობიდანვე გავზრდით ოჯახური ტიპის, მცირე პანსიონებში, სადაც თითოეულ მათგანზე ინდივიდუალური ზრუნვა იქნება შესაძლებელი, სადაც ისინი ჩვეულებრივ ადამიანურ ურთიერთობებს მიეჩვევიან.

დუბლინში მიღებული ცოდნა ქართველებმა ერთი წლის განმავლობაში თარგმნეს, დაამუშავეს, ქართულ რეალობას მოარგეს და „პირველ ნაბიჯში“ დანერგეს; ანუ, ფაქტობრივად, საქართველოში მსგავსი განათლების არ არსებობის პირობებში, მათ ახალი ბილიკი გაკვალეს. დღეს ამ სფეროში მუშაობა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე 1998 წელს, „პირველი ნაბიჯის“ გახსნის დროს იყო. 2004 წლის შემდეგ გატარებულმა განათლების რეფორმამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ინტერესები გარკვეული და გაითვალისწინება. თუ ერთ დროს სოციალური მუშაკის ცნება ქართული საზოგადოებისთვის აბსოლუტურად გაუგებარი რამ იყო, დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გახსნილია ოკუპაციური თერაპიის და სოციალური სამუშაოს ბაკალავრიატები, ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში კი — სოციალური მუშაკებისთვის სამაგისტრო პროგრამა მოქმედებს. ორივე ფაკულტეტზე ცალკე

კურსი იკითხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების შესახებ. პირველი გამოშვება ამ ფაკულტეტებს ჯერ არ ჰქონიათ.

თამუნა მეუბნება, რომ კურსდამთავრებულებს ამ ფაკულტეტებიდან „პირველი ნაბიჯიც“ ელოდება, რადგან ჩვენთან ჯერ კიდევ ძალიან ცოტა კვალიფიციური სპეციალისტია, რომლებმაც იციან შეზღუდული შესაძლებლობების ადამიანებთან ურთიერთობის ყველა სპეციფიკა.

## დედა.

„მე მიყვარს ასმათი“ — გიორგი მარცვალმარცვალ, ნელა და მონდომებით კრეფს ამ წინადადებას კომპიუტერის კლავიატურაზე. გიორგი 17 წლისაა, ძალიან ცისფერი თვალები და ცოცხალი გამოხედვა აქვს. მისი დიაგნოზია გონებრივი ჩამორჩენა. ასმათი გიორგის კოტეჯის „დედა“. როცა გიორგის ეკითხები, — ვინ არის შენი დედა, ის გპასუხობს, — ასმათი. მიუხედავად ამისა, გულის სილრმეში ნამდვილი დედის გამოჩენას თითოეული ბავშვი მთელი არსებით ელის. რაც უნდა დედასავით ექცეოდეს მათ თუნდაც ასმათი, წლების განმავლობაში უნახავ მშობელთან შეხვედრა პატარებზე სულ სხვანაირად მოქმედებს. ამიტომაც არის, რომ „პირველი ნაბიჯელები“ სულ ცდილობენ მშობლების წაქეზებას. რუსიკო მიყვება: „ხშირად ვეუბნებით ხოლმე, არ არის საჭირო არაფრის მოტანა, ნუ გრცხვენიათ, რომ ხელცარიელი მოხვალთ, მთავარია, მოხვიდეთ, ბავშვებს თქვენგან მეტი არაფერი სჭირდებათ“.



და როდესაც დგება ჯადოსნური წამი და რომელიმეს დედა აკითხავს, როგორც რუსიკო ამბობს, ბედნიერ ბავშვს ალარავინ და ალარაფერი ახსოვს. დედის სტუმრობა თითოეული აღმზრდელის, ფსიქოლოგის და პედიატრის სითბოს და მზრუნველობას ჩრდილავს. არადა, პირადად მე ვერც

ერთ მშობელს ვერ გავამტყუნებო, — მეუბნება რუსიკო, — თითოეული ბავშვის ოჯახური ისტორია იმდენად მძიმეა, მათ მშობლებს იმდენად უჭირთ, რომ ვერაფრით დაადანაშაულებ, შვილები ბავშვთა სახლისთვის რომ გაიმეტეს.

რუსიკო ერთი პატარა ბიჭის ბებიაზეც მიამბობს. მოხუცი ქალბატონი ქვრივია, ალარც შვილები ჰყავს, თავის ობოლ შვილიშვილს, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობები აქვს, წლების განმავლობაში მარტო ზრდიდა. თუმცა, შემდეგ სამსახური დაკარგა, თვითონ ბავშვს მარტო ვეღარ უვლიდა და ამიტომ კასპის ბავშვთა სახლს მიაბარა. ბიჭი კასპიდან „პირველი ნაბიჯის“ ბავშვთა სოფელში მოხვდა. ბებიამ იცის, რომ მის შვილიშვილს აქ უკეთესად გაზრდიან, ვიდრე მარტოხელა მოხუცი შეძლებდა. ამიტომ ურჩევნია, ბავშვი ენატრებოდეს, მასთან სტუმრად დადიოდეს, ვიდრე შინ წაიყვანოს.

„თუმცა, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ბავშვი როცა შინ, მშობლიურ გარემოში იზრდება, გაცილებით უიოლდება შემდეგ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა,“ — მიხსნის თამუნა ზაალიშვილი, მაგრამ იმასაც მეუბნება, რომ ბავშვის შინ დაბრუნება თვითმიზანი არ არის: ჩვენთან მშობლების უმრავლესობამ არ იცის, თურა სპეციფიკა და ცოდნაა საჭირო მათ შვილებთან ურთიერთობისთვის. არცოდნა მშობლების გაღიზინებას და აგრესიას იწვევს, ამას ხშირ შემთხვევაში ემატება უსახსრობაც (ამ პატარებზე ზრუნვა ხომ განსაკუთრებულ საკვებ რაციონს და ძვირადღირებულ მედიკამენტებსა და მკურნალობას მოითხოვს) და ბოლოს ყველაფერი თითქმის ისეთივე შედეგით მთავრდება, როგორიც საზოგადოებამ კასპის პანსიონატის სახით მიიღო. თამუნა მეუბნება, რომ იდეალური შემთხვევაა, როცა, პირველ რიგში, თვითონ მშობლები ეგუებიან იმ აზრს, რომ მათ შვილს სულ სხვა საჭიროებები და პრობლემები აქვს, ვიდრე დანარჩენ პატარებს; პირველ რიგში, თვითონვე ითავისებენ იმას, რომ ასეთი შვილის არ უნდა რცხვენოდეთ და შემდეგ უკვე ბავშვის სწორად აღზრდაც უიოლდებათ. თამუნას ვეკითხები, თქვენ თუ იცნობთ ასეთ მშობლებს-მეთქი. მეუბნება, რომ „პირველ ნაბიჯის“ ერთი გუნდი სწორედ მშობლებთან მუშაობს. აქვთ პროგრამა, რომელსაც ოჯახში მომსახურება ჰქვია. კვირაში რამდენჯერმე იმ სახლებს, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები ცხოვრობენ, „პირველი ნაბიჯის“ სპეციალისტები აკითხავენ; ისინი შეელიან დედებს ბავშვების მოვლაში და აჩვენებენ, როგორ უნდა იზრუნონ მათზე სწორად.

ახლა „პირველ ნაბიჯში“ მშობლების შეკრებას ვესწრები. თამუნა ზაალიშვილი და დანარჩენი მათ პრობლემებს ისმენენ. უკვე ვხვდები, ამ შეხვედრებს „დაცლის“ ფუნქციაც აქვს. დედები



ხმამაღლა ჰყვებიან თავიანთ შვილებზე: „ჩემსას უკვე შეუძლია რამდენიმე წუთით დადგეს“, „მართლა? ნინოს ისე უხარია სკოლაში სიარული, უთენია დგება და სკოლის ავტობუსს ფანჯარასთან ელოდება“... ჰყვებიან თავიანთი ცხოვრების წესზე: „გუშინ გოგოები რესტორანში ვიყავით, ბავშვი მამასთან დავტოვე. ცოტა კი ვინერვიულე, მაგრამ იცი, რას მივხვდი? უკან რომ დავპრუნდი, გიოსთან ურთიერთობისთვის უფრო მეტი ენერგია და ხალისი მქონდა. ეს გადართვები მშველის ხოლმე...“

...მშობლების შეკრებიდან გამოსული ოფისში ვპრუნდები. ინტერნეტში ერთი ამერიკელი დედის საიტს ვპირულობ, რომელზეც ქალი ონლაინ დღიურს წერს თავისი ცხოვრების შესახებ და ჰყვება, რომ ოთხი შვილიდან სამს სხვადასხვა ფიზიკური და გონებრივი ჩამორჩენა აქვს. ის კერავს წინსაფრებს, ზენტრებს, ეტლზე გადასაკრავ ქსოვილებს ისეთი ბავშვებისთვის, რომელთაც თავისი შვილებისნაირი პრობლემები აქვთ და საიტის საშუალებით ავრცელებს. ვხვდები, რომ ჩვენს საზოგადოებას ზუსტად ასეთი დედები აკლია; დედები, რომლებიც შვილებს „ჩვეულებრივი“ - „უუნაროს“ ნიშნით არ ასხვავებენ, მათ გამო არ კომპლექსდებიან, მათზე ზრუნვას სწავლობენ და მათი მიღწევებით სიხარულს. ქვეყანაში, სადაც ეს დედა ცხოვრობს, კანონი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განათლების შესახებ ჯერ კიდევ 1975 წელს მიიღეს. დედებს კი, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობენ, ყველაფერი ახლა აქვთ მოსაპოვებელი — სოციალური სისტემაც, გამართული კანონმდებლობაც, პროგრესული საზოგადოებაც, უფლებებიც და შვილების ნორმალური მომავლისთვის — სხვა გარანტიებიც. და მაინც, ასეთები დედები ჩვენთან არ არიან. კითხვა მიჩნდება — რატომ?

## მეც შენი კლასელი ვარ

თამუნა და ნინო კვირის დღეებში დილაადრიან დგებიან. საუზმობენ, სასკოლო ჩანთას ილაგებენ

და ავტობუსით მეასე საჯარო სკოლაში მიდიან. იქ ისინი ინტეგრირებულ კლასში სწავლობენ, რომელიც „პირველმა ნაბიჯმა“ გახსნა. კლასი სულ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებითაა დაკომპლექტებული, მაგრამ როგორც რუსიკ მიხსნის, რადგანაც ეს კლასი ჩვეულებრივ საჯარო სკოლაშია გახსნილი, თამუნას და ნინოს მაინც აქვთ საშუალება, შესვენებებზე, საერთო სასკოლო გაკვეთილებზე თავიანთ თანატოლებს ეთამაშონ. ბავშვებს ერთად უტარდებათ მუსიკის გაკვეთილი, ფიზკულტურა და მეასე სკოლის მოსწავლეებიც ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ეგუებიან იმ აზრს, რომ თურმე არსებობენ ბავშვები, რომელთაც არ შეუძლიათ სიარული და, მით უმეტეს — სირბილი, აზროვნებენ უფრო ნელა, მაგრამ ამის გამო ისინი არ უნდა აითვალწუნონ. ერთი შეხედვით, რთულია, გაიგო, რეალურად რა ხდება ამ ბავშვებს შორის. მეგობრობენ კი ისინი ერთმანეთთან? არის კი მათი ურთიერთობა გულწრფელი? თუმცა, ერთია — ამ დაახლოების შედეგებს ჯერ ვერ დავინახავთ. ინტეგრირებული კლასი ეს უბრალოდ არის მცდელობა და გზა, როგორ შეიძლება დავაახლოვოთ ისინი ერთმანეთს.

მეასე სკოლაში გახსნილ ინტეგრირებულ კლასს თავიდან ექსპერიმენტული სახე ჰქონდა. თუმცა, პარალელურად, სახელმწიფოს ოფიციალურ დოკუმენტაციაში გაჩნდა ცნება — სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვი. ამ განსაზღვრებაში რამდენიმე კატეგორიის ბავშვები მოხვდები: მათ შორის — ქუჩის ბავშვები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელები და, ცხადია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატარები. 2006 წელს მოხდა პირველი სერიოზული გარდვევა: ამოქმედდა პროექტი, რომლის მიხედვითაც, თბილისის ათ სკოლაში ინკლუზიური კლასები გაჩნდა. ეს კლასი სულ სხვა დონის ინტეგრაციას ნიშნავდა — შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პატარები ჩვეულებრივ სასკოლო კლასში ისხდნენ და, მართალია, ჰქონდათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, მაგრამ გაკვეთილებს მაინც თავიანთ „ჩვეულებრივ“ თანატოლებთან ერთად ესწრებოდნენ. ბავშვს, რომელსაც ბოლომდე აქვს გააზრებული თავისი სტატუსი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი), რა გასაკვირია, რომ ჩვეულებრივ სკოლაში სიარული ძალიან ეამაყება. „პირველი ნაბიჯის“ ბავშვთა სოფელში ერთმა პატარამ საიდუმლოდ ისიც მითხრა, რომ კლასში შეყვარებულიც ჰყავს. ძალიან გამეხარდა, თუ ასეა საქმე, ნაპრალი, მგონი, ასეთ და ისეთ პატარებს შორის ერთ დღეს მართლა ამოივსება.

# ვალეოლოგიური განათლება - წარმატებული სახელმწიფო საპირის პარაკონია

იგორ დოლიძე

გამოცემულია, დასაცემის სამუშაო

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის და  
რეაბილიტაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველოს ჰუმანიტარული და  
სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი**



ჯანმრთელობის დამახასიათებელი ნიშანია ორგანიზმის შიდა გარემოს მუდმივობის შენარჩუნება (ჰომეოსტაზი). ეს უკანასკნელი იმაში ვლინდება, რომ ნორმის ფარგლებშია შესანარჩუნებული ტემპერატურა, სისხლის ქიმიური შემადგენლობა,

არტერიული სისხლის უანგბადით გაჯერება და ა.შ. თუ გარეთა გარემოს რაიმე ფაქტორების გამო ირლევა ჰომეოსტაზი, უშუალოდ მაშინ ვითარდება დაავადება.

ჯანმრთელი ორგანიზმი უნარიანია გადაიტანოს უძინესი ფსიქიური და ფიზიკური დატვირთვები, გარეთა გარემოს ფაქტორების მნიშვნელოვანი გადახრები და ძალზე გაძნელებულია მისი წონასწორობიდან გამოყვანა.

ადამიანი სამყაროს უდიდესი მოვლენაა, მაგრამ წინააღმდეგობრივი ხასიათისა და არსებითად განსხვავებულია სხვა ცოცხალი არსებებისაგან. ადამიანის წინააღმდეგობრივი ფენომენი შეკრებილია მრავალი ურთიერთსაპირისპირო ფაქტორებით და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი: ბუნებისა (მათ შორის ცხოველებისა და ადამიანურის საზყისებს შორის), ბიოლოგიურისა და სოციალურს შორის, მატერიალურისა და სულს შორის, პირადისა და საზოგადოებას შორის და ა.შ. მეცნიერული შესწავლისათვის ადამიანი ძალიან ძნელ ობიექტს წარმოადგენს.

იმისათვის, რომ ადამიანი დარჩეს ბუნების გვირგვინად და შესარულოს მისთვის მინიჭებული ისტორიული მისია დედამიწაზე და კოსმოსში, უნდა იყოს ჯანმრთელი.

ადამიანი მრავალი მეცნიერების შესწავლის საგანია, როგორიცაა ბუნების მეტყველების (ბიოლოგია, ანტროპოლოგია, მედიცინა), ისე საზოგადოებრივი (სოციოლოგია, ეთნოლოგია, ფსიქოლოგია, ისტორია, ფილოსოფია და სხვა) ფუნდამენტური დარგები.

მაგრამ ფაქტორივად, ადამიანის ჯანმრთელობის საკითხი ძირითადში მონოპოლიზებულია მხოლოდ ერთი მეცნიერებით – მედიცინით, რაც პრაქტიკულად წარმოადგენს მეცნიერებას დაავადების შესახებ – “ადამიანის პათოლოგიას”.

ადამიანის ყველა ზემოქმედების ფაქტორების ინტეგრაციულ გამოხატულებად მიღებულია სამერთიანობის ინფორმაცია: სენსორული(გრძნობის ორგანოებით აღქმული) პირველი სასიგნალო სისტემიდან, ვერბალური(ზეპირი და წერითი სიტყვა) - მეორე სასიგნალო სისტემიდან და სტრუქტურული (საკვებისა და შესუნთქული ჰაერის კომპონენტები) ბუნების სისტემიდან. ინფორმაციის ყველა სამივე ნაკადი ერთიანდება ორგანიზმში მიმდინარე ქიმიურ დონეზე. გარემოს ფიზიკურ-ქიმიური ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებენ გრძნობით ორგანოზე, ორგანიზმში ინვენს ბიოლოგიურ გარდაქმნებს და ინტეგრირებულად მონაწილეობს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებში.

ყოველი ადამიანის სიცოცხლე ინდივიდუალური და განუმეორებელია, დაბერდებიან ადამიანები – ყველა თავისებურად გადის ერთადერთ და განუმეორებელ ცხოვრების გზას. და, დღეს უკვე ცნობილია, რომ დაბერების და მოხუცებულობის პროცესი მნიშვნელოვანი დამოკიდებულია იმ ცხოვრების წესზე, რომელიც მან გაიარა მოწიფულობისას და არ შეესაბამება მათ მარტივ წარმოდგენას.

ადამიანის ინტერაციული შედეგები მოგვიანებისაგან და სისტემებისაგან. ცალკეულ ორგანოებს აქვს თავისი ბუნებრივი ფუნქცია. ე.ი ვალდებულება შეასრულოს რაღაც სამუშაო. ადამიანის ინტერაციული შექმნილია ფიზიოლოგიური პროცესების წარმართვისათვის და გონებრივ-ფიზიკური აქტიურობისათვის. თუ ის, რაღაც მიზეზთა გამო იმყოფება უმოქმედომაში, მას შეუძლია მიიყვანოს ორგანიზმი დასუსტებამდე, ხოლო აქედან კი წახევარი წაბიჯილა რჩება ცალკეული ორგანოებისა და მთლიანი ორგანიზმის დაავადებამდე.

ვალეოლოგია განიხილება არა დახურულ სივრცეში, არამედ რეალურ და რთულ სამყაროში, რაც ადამიანს ართმევს საკუთარი ჯანმრთელობის ნაწილს და ის მიჰყავს ე.წ. “მესამე მდგომარეობამდე”. ამ უკანასკნელის პირობებში ადამიანი თითქოს-და ფორმალურად ჯანმრთელია, ორგანიზმი იმყო-

ფეხბა კომპიუტორულ მდგომარეობაში, მაგრამ, ამავე დროს თავს იჩენს დაავადების საწყისი კლინიკური ნიშნები. ორგანიზმის ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელია მოსახლეობის 60-80 % -სათვის. ადამიანის ორგანიზმის მესამე მდგომარეობა არის ჯანმრთელობასა და დაავადებას შორის შუალედური მდგომარეობა.

ცხოვრების თანამედროვე პირობებისათვის დამახასიათებელია ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და ფსიქიური ფაქტორების ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე და ის ინვენს არამარტო სპეციფიური დაავადებების (ე.წ.ცივილიზაციის დაავადებები), არამედ მთელი რიგი ზოგადი სიმპტომების (უმადობა, აღგზნებადობა, თავის ტკივილი, კანის სიმშრალე და ა.შ.) გამოვლენას, რაც დამახასიათებელია მესამე მდგომარეობისათვის.

ადამიანის ნორმალური ცხოველმოქმედება დამოკიდებულია მოძრაობითი აქტივობის მოცულობით სიდიდეზე და ხასიათზე, რაც განპირობებულია ფიზიკური დატვირთვის სპეციფიურობაზე. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში ადამიანი განიცდის ჰიპოკინეზიას და ჰიპოდინამიას, რაც უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე და, როგორც ერთ-ერთი “რისკ-ფაქ-

ტორი”, ხელს უწყობს დაავადების განვითარებას. ნ.ამოსოვი თვლის ფიზიკულტურის დაკანონებას სასწავლო და საწარმოო ობიექტებზე, როგორც პროფილაქტიკისა და მკურნალობის ეფექტურ საშუალებას. ამასთან, სხვადასხვა დაავადებებისას და მდგომარეობებისას საჭიროა დაზუსტდეს ფიზიკური ვარჯიშის ჩვენებები, განისაზღვროს შესაბამისი “დოზირება” და შემუშავდეს მიზანმიმართული უსაფრთხოების წესები.

ადამიანის ჯანმრთელობა, ავადობა, დაავადების მიმდინარეობა და გამოსავალი (კერძოდ, ქრონიკული ფორმების წარმოშობის ალბათობა), სიცოცხლის ხანგრძლივობა, სამუშაო და შემოქმედებითი პოტენციალი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რომლებიც შერწყმულია სამერთიან ინფორმაციულ ნაკადში და მათი ხარისხობრივი მაჩვენებელი დამოკიდებულია ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ პირობებზე არსებულ საზოგადოებრივ ფორმაციაში. ჯანმრთელობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჯანსაღი ცხოვრების წესს, კულტურასა და ადამიანის პირად მოტივაციას.

ბაბრძელება შემდრმანი ნომერში

## პირველი დახმარება სერებრის პისრის ნაცილის დაზიანების დროს

ხერხემლის კისრის ნაწილის დაზიანება კვალი-ფიცირდება, როგორც შედარებით მძიმე ტრავმა, რამდენადაც ამ ტრავმის შედეგად შეიძლება წარმოიშვას ხერხემლის ტვინის გაჭყლების საშიშროება. ეს აიხსნება იმით, რომ ე.წ. სარეზიურო სივრცე — ხერხემლის კისრის ნაწილის მალების არხის კედლებსა და ხერხემლის ტვინს შორის დაშორება — მნიშვნელოვნად მცირეა, ვიდრე სხვა ნაწილებში. ამასთან, ხერხემლის ტვინიდან გამომავალი ნერვები კისრის ნაწილიდან გადიან არა განივად, არამედ სწორი კუთხით, რაც განაპირობებს მისი მოძრაობის შეზღუდვას, გაჭიმვას და ხერხემლის კისრის ნაწილის მალების დეფორმაციის ან ერთმანეთთან დაცილების დროს დაზიანების დიდ ალბათობას.

ტრავმის გამოცნობა არ არის რთული: დაზარალებულს აღენიშნება მკვეთრი ტკივილი კისრის ნებისმიერი მოძრაობის დროს. თუ ხერხემლის კისრის ნაწილის დაზიანების დროს ხდება კისრის ნაწილის შესიება და ხერხემლის სვეტის დეფორმაცია, დაზარალებული კისერს იჭერს იძულებით მდგომარეობაში და ნიკაპით ებჯინება მკერდს. მას არ შეუძლია ყლაპვა და ზოგიერთ შემთხვევაში უჭირს სუნთქვა.

პირველი დახმარება ხელსაყრელია ორი ან სამი ადამიანის დახმარებით. დაზარალებულის შემთხვევის ადგილიდან გამოყვანის შემდეგ (მანქანიდან, წყლიდან, და ა.შ.), ერთ ადამიანს ორივე ხელით გაუნდრევლად უჭირავს მისი თავი და არ უშვებს ხელს მანამ, სანამ დანარჩენები არ დააწვენენ დაზარალებულს მინაზე ჰორიზონტალურ მდგომარეობაში. ამის შემდეგ აუცილებელია დაზარალებულის კისრის ფიქსირება საიმობილიზაციო სახვევით, რომელიც დაედება (შემოქმედება), როგორც დიდი საყელო ყურებიდან მხრებამდე. ასეთი საყელოს დადება საკმაოდ ადვილია პირსახოცის, ზენარის და ა.შ. საშუალებით. ამის შემდეგ დაზარალებული აუცილებლად უნდა მოვათავსოთ მაგარ, არადრეკად საკაცებზე ჰორიზონტალურ მდგომარეობაში და რაც შეიძლება სწრაფად გადავიყვანოთ სამედიცინო დაწესებულებაში.

აღდგენითი მკურნალობის პერიოდში ავადმყოფმა მკაცრად უნდა დაიცვას ექიმის ყველა რეკომენდაცია: ატაროს კისრის მაფიქსირებელი სახვევი, ატაროს სამკურნალო ტანვარჯიში ზედა კიდურებისა და ტანის კუნთების ატროფიის პროფილაქტიკის მიზნით და ტრავმიდან წლის მანძილზე იძინოს მაგარ საწოლში.

## დაიბრუნე შენი დამოუკიდებლობა

მიხეილ ნოვიკოვი

თინამდებარე სფალის ავტორი გახდავთ შეზღუდული შესაძლებლობების მარე პირი. საკუთარ გამოცდილები-დაზე დაყრდნობით იგი ცდილობს ცოდნა და გამოცდილება გაუზიაროს მის ჩაფიქრის ჩავარდილ ადამიანებს.

ინგალიდობის მიღების შემდეგ, ერთი, ყველაზე ძირითადი პრობლემა, რომელიც ძალიან აღელვებს ადამიანს — დამოუკიდებლობის დაკარგვაა. თუ ტრამვირებულია ხერხემალი, მაშინ კუნთების მთელი ჯგუფები მთლიანად ან ნაწილობრივ აღარ მუშაობენ. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ქვედა კიდურებს, მაგრამ ხშირად დაზიანებული აღმოჩნდება ზურგის და მუცლის კუნთები. ხოლო, კისრის მაღების ტრამვის შემთხვევაში, ჩათრეულია ხელებიც. მთელი რიგი კუნთების მუშაობისუნარიანობის დაკარგვა იწვევს ადამიანის დამოუკიდებლობის დაკარგვას, თვით-მომსახურების უნარის წარმევას და ა.შ.

რეაბილიტაციის საწყის ეტაპზე საჭიროა იმ კუნთების, რომლებსაც ჯერ კიდევ შეუძლიათ ფუნქციონირება, მაქსიმალურად შრომისუნარიანობის დაბრუნება. ნებისმიერ სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც გააჩნიათ ზურგის ტვინის (ხერხემლის) სარეაბილიტაციო განყოფილება, არიან კვალიფიციური ხერხემლის ტრავმის შემდგომი რეაბილიტაციის სპეციალისტები. პრინციპში, მათი მუშაობის მეთოდი დაფუძნებულია მეთოდისტის დახმარებით მოძრაობის ერთდროულ შესრულებაზე და ამ მოძრაობების შესრულებისათვის ტვინიდან კუნთებში სიგნალის გადაცემის (გაგზავნის) უნარის გაუმჯობესებაზე.

ძალიან ეფექტურია ვ. დიკულის მეთოდით ვარჯიში. სამწუხაროდ, მის ცენტრში მოხვედრა ძალიან რთულია, მაგრამ ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა, რომ მოვიპოვოთ მეთოდური ლიტერატურა, მივიღოთ სპეციალისტების კვალიფიციური კონსულტაცია და ვივარჯიშოთ დამოუკიდებლად.

ვეყრდნობი რა საკუთარ გამოცდილებას, მე ვალიარებ დამოუკიდებელი აქტიურობის მოქმედ სისტემას. პირველი, რაც უნდა გააკეთოს დაზარალებულმა — თვითონ უნდა გააკეთოს ყველაფერი, როგორი რთულიც უნდა იყოს შესასრულებლად და რამდენიც უნდა იყოს მისი დამხმარე. მაგალითად, საწყის ეტაპზე, ჩატმისათვის მე მიწევდა დიდი ენერგიის ხარჯვა და ეს პროცესი გრძელდებოდა 30-40 წუთი. ძალიან რთული იყო ლოგინიდან ეტლში და ეტლიდან ლოგინში გადაჯდომის სწავლა და დაუფლება. დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ყოველივე ეს აუცილებელი და საჭიროა და, თუ გინდა იყო დამოუკიდებელი, მაშინ მოგინევს ყოველივე ამის თვითონ გაკეთება.

შემდეგ ეტაპზე, ჯერ საავადმყოფოს სპორტულ დარბაზში, შემდეგ კი სახლში ეტლიდან ხოვით გადავდიოდი ხალიჩაზე და ვცდილობდი გამეკეთებინა ყველა

ჩემთვის შესაძლებელი მოძრაობა თუ ვარჯიში, ვცდილობდი ერთი გვერდიდან მეორე გვერდზე გადაბრუნებას, მკერდის მუხლებთან მიტანას და პირიქით, ვცდილობდი მეხოხა ან მეარა ოთხივე კიდურით — ყოველივე ეს საშუალებას მაძლევდა შემეგრძნო ჩემი სხეული, მეგრძნო, რომ მე ისევ გამარინა ძალა. საკუთარი ძალის აღქმისათვის ძალიან მნიშვნელოვანია წყალი. ტრავმის მიღების შემდეგ ბევრს ეშინია წყლის, ფიქრობენ, რომ ასეთ მდგომარეობაში ცურვა შეუძლებელია. ეს მცდარი აზრია. წყლიდან ამოსვლის შემდეგ, გჯერა რომ თითქმის ყველაფერი შეგიძლია.

ტრავმის მიღების შემდეგ, მიუხედავად საკუთარი სპორტული გამოცდილებისა, მოგვინევს მთელი ყურადღება გადავიტანოთ საკუთარი ფიზიკური ფორმის წესრიგში მოყვანაზე. ცხოვრების სრულფასოვანი დამოუკიდებლობისათვის საჭიროა მუშაკუნთების ჯგუფების მაქსიმალური განვითარება და გაძლიერება. თუ არ მუშაობს ფეხები, საჭიროა განვავითაროთ ხურგის ძალიან მუშაობის სარტყელის კუნთების ძალა. თუ არ მუშაობს ხურგისა და მუცლის კუნთების ნაწილი, მაშინ უნდა განვავითაროთ ზურგის და მუცლის ის კუნთები, რომლებიც ფუნქციონირებენ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების დამოუკიდებელი ცხოვრება განვითარებული სხეულის გარეშე არარეალურია. ამიტომ ყოველნაირად უნდა ვეცადოთ ვავარჯიშოთ და ფიზიკურად განვავითაროთ ჩვენი სხეული.

### ნათესავებთან და მეგობრებთან ურთიერთ-დამოკიდებულება

სახლში დაბრუნების შემდეგ წარმოიქმნება ნათესავებთან და მეგობრებთან ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა. საავადმყოფოში ყოფნის დროს მათი დახმარება თუ იყოს საჭირო, ახლა, როცა გრძნობ ძალას და შეგიძლია გარკვეული დამოუკიდებლობა, მათი მზრუნველობისაგან თავის დაღწევა ცოტა არ იყოს, რთულია. რა თქმა უნდა, მათი დახმარება და მხარდაჭერა საჭიროა, მაგრამ, ეცადეთ თავი გაინთავისუფლოთ მათი “გაძლიერებული” ზრუნვისაგან.

ყოველთვის, საკუთარ სახლში ყოფნისას, თავი არ უნდა გრძნობდეთ უსუსურად და არ უნდა იყოთ სხვაზე მთლიანად დამოკიდებული. ეცადეთ გამოავლინოთ მაქსიმალური დამოუკიდებლობა; თვითონ ჩაიცვით, მოქმედისახურეთ საკუთარ თავს და, როდესაც თქვენ რამის გაკეთება შეგიძლიათ, უფლება არ მისცეთ სხვას ამ



საქმეში დახმარება გაუწიოთ. ჩვენი სახლების უმრავლესობა არ არის ადაპტირებული ინვალიდებისათვის და თქვენი ეტლით ტუალეტში შესვლაც კი, უბრალოდ შეუძლებელია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე ეს პრობლემა გადავწყვიტე. მაგალითად, მივდივარ ტუალეტის ოთახთან და ვდგავ ორ ტაბურეტს. ეტლიდან გადავდივარ პირველ ტაბურეტზე, შემდეგ მეორეზე და ასე ვჯდები დამოუკიდებლად ტუალეტზე. რა თქმა უნდა ეს ითხოვს გარკვეულ ვარჯიშს, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის, თუმცა აქვე მსურს შეგახსენოთ, რომ ფიზიკური ვარჯიში ხომ ჩვენი ყოველდღიური საქმიანობაა.

რაც შეეხება მეგობრებთან და ნაცნობებთან ურთიერთობას, ეს შინაგანი, საკუთარი განწყობის საქმეა და თქვენ უნდა ეცადოთ ეს პრობლემა რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გადალახოთ. პირველ რიგში, თავი არ უნდა იგრძნოთ ინვალიდად. თქვენ ისეთივე ამაყი, თავდაჯერებული და ძლიერი ადამიანი ხართ, როგორც თქვენს გარშემო არსებული ადამიანები. თუ თქვენ გრცხვენიათ თქვენი ინვალიდობის, ეს კომპლექსი დას დაასვამს გარშემო მყოფ ადამიანებთან თქვენს ურთიერთობას და ასეთი დამოკიდებულებით თქვენ არასდროს არ იქნებით მათვის თანასწორი. თქვენთან სხვა ადამიანების დამოკიდებულება ინყება თქვენი საკუთარ თავთან დამოკიდებულებით. თუ თქვენ მიეჩვიეთ სხვა ადამიანებთან თავისუფალ ურთიერთობას და არ გაამახვილებთ არც თქვენს და არც მათ ყურადღებას თქვენს ინვალიდობაზე, მალე შენიშნავთ, რომ ფიზიკურად ჯანმრთელი ადამიანების ახალი კომპანიაც კი თქვენში დაინახავს საინტერესო პიროვნებას, ხოლო ცოტაოდენი ურთიერთობის შემდეგ, თქვენი ფიზიკური შეზღუდულობა აღქმული იქნება, როგორც მოცემულობა. ბოლოსდაბოლოს ხომ არ-სებობენ შავგვრემანი და ქერა, სქელი და თხელი, გამხდარი და მსუქანი ადამიანები? ეცადეთ, ის, რაც თქვენ გაიძულებთ ეტლით ან ყავარჯინით გადაადგილებას, ალიქვათ როგორც მოცემულობა, განთავისუფლდით მისგან წარმოქმნილი შებოჭილობვისა-გან და იცხოვრეთ თავისუფლად.

### დამოუკიდებლობა და ეტლი

სახლის შემდეგ იქმნება საკუთარი დამოუკიდებლობის და უზრუნველყოფის პრობლემა. კერძოდ, საჭიროა თავისუფალი და დამოუკიდებელი გადაადგილება ქუჩაში. ეს საკითხი განსაკუთრებულად პრობლემურია მაშინ, როცა ადამიანი ეტლით სარგებლობს. თვით ეტლის უარყოფით მხარეებზე არ შევჩერდები. ეს ცალკე სასაუბრო თემაა და ამის შესახებ ყველამ კარგად იცის ვინც ეტლით სარგებლობს. და მაინც, მე უბირატესობას ვანიჭებ ე.წ. “აქტიური ტიპის” ეტლებს. მათი წონა არ აღმატება 9-12 კილოგრამს, ხოლო გაბარიტები სხვა ეტლებთან შედარებით საგრძნობლად მცირეა. გააჩნიათ მაღალი ხარისხი და საიმედობა. ასეთი ეტლებისათვის დამახასიათებელია პრაქტიკულად ყველაფრის რეგულირება — სიმძიმის ცენტრიდან საფეხურის სიმაღლემდე.

დავუბრუნდეთ ეტლით გადაადგილების და სახლში დაბრუნების თემას. როგორც წესი, ეს საკითხი

ყოველთვის მოუგვარებელია. ამიტომ, პირველ რიგში უნდა მივმართოთ ადგილობრივ ხელისუფლებას. პრინციპში, ისინი მოვალენი არიან ამ პრობლემის გადაწყვეტაში დახმარება აღმოუჩინონ ინვალიდებს. გააკეთონ პანდუსები კიბეებზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დახმარება ხშირად, ხანგრძლივი დროით გადაიდება ხოლმე სახსრების არარსებობის მოტივით.

ჩვენი სადარბაზოების, ქუჩებისა და სახლების არაადაპტირების ყველაზე მთავარი მიზეზი ისაა, რომ მშენებლებს არ სურთ გაიგონ რა სურთ ინვალიდებს და რას საჭიროებენ ისინი. უფრო სწორად, არ სურთ გაიგონ, რა არის საჭირო მიმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს უფრო გაუადვილდეთ ცხოვრება. ამიტომ, თუ თქვენ არ აიღებთ ამ პრობლემის მართვის კონტროლს, მაშინ მიიღებთ ყველაფერს, თქვენთვის საჭიროების გარდა. პანდუსის მაგივრად-ტრაშ-პლინს სამთო-სათხილამურო სპორტისათვის, წინააღმდეგობებს მეზობლების ფეხების მოსატეხად და ა.შ. ძალიან მნიშვნელოვანია დაპროექტებული პანდუსის დაქანების დონე. უკეთესია, რომ ის არ აღმატებოდეს 300 გრადუსს-რომელიც საშუალებას მოგვცემს დამოუკიდებლად ავიდეთ კიბეზე. ამასთან ერთად, ის უნდა წარმოადგენდეს მთლიან გზას დაახლოებით 90 სმ. სიგანით. ხშირად აკეთებენ თქვენი ეტლის სიგანის შეველერებს, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ის ეტლი, რომლითაც სარგებლობთ, შეცვალოთ ახლით, რომელსაც შესაძლებელია სხვა გაბარიტები გააჩნდეს, პანდუსი უსარგებლო გახდება. ამიტომ, ეს ნიუჟანსები გათვალისწინებული უნდა იქნეს პანდუსის დაპროექტების დროს. თუ საშუალებას იძლევა კიბეების ორივე მხარეს უნდა გაკეთდეს მოაჯირი. მოაჯირზე ხელების ჩავლების საშუალებით შესაძლებელი იქნება ყველაზე მაღალი კიბის დამოუკიდებლად დაძლევაც კი.

ყოველივე ამის გარდა თქვენ კარგად უნდა შეისწავლოთ ეტლის სრულყოფილად ბალანსირების ტექნიკა. ეტლის სრულყოფილად ბალანსირება კიბეებზე ასვლა — ჩასვლის საფუძველია.

ამავე დროს უნდა ისწავლოთ ეტლით დაცემა და დაცემისაგან გამოწვეული შიშის გადალახვა. ზოგიერთს ჰავუნია რომ ზურგზე დაცემა ძალიან სახითათოა, მაგრამ სინამდვილეში, ასეთი ვარდნები უხილაუთა. მე პირადად ასჯერ მაინც დავცემულვარ. მთავარია ვისწავლოთ დაცემის დროს ნიკაპით თავის მერდზე მიჭერა, თუმცა ეს ადამიანის ბუნებრივი ინსტინქტია და ამ მოძრაობის სწავლის დროს ეს მომენტი კარგად უნდა გამოვიყენოთ. ყველაზე უკეთესია დაცემა ვისწავლოთ გამართულ ხელებზე, რომელიც ზამბარისებული მოძრაობის ხარჯზე ამორტიზატორის როლს შეასრულებს. ასეთ შემთხვევაში არსებობს საშუალება დავუბრუნდეთ საწინააღმდეგო მართვის მდგომარეობას. ამავე დროს კარგად უნდა შევისწავლოთ დაცემის შემდეგ მინიდან ეტლზე დაჯდომა. თუ თქვენ დაეცემით ქუჩაში, რა თქმა უნდა ახლოს მყოფი ადამიანები მაშინვე დაგეხმარებიან, მაგრამ ეს თუ მოხდა იქ, სადაც ვერავინ დაგეხმარებათ? ასე რომ, წაიგარჯიშეთ სახლში.

## ტბ ბრის ადგინებული ფიზიკური ბაზიზობა

თემურაზ პოპავიძე

ფიზიკური აქტივობა არის პროცესი, რომელშიც ადამიანი ჩართულია თავისი დროის უმეტესი ნაწილის განმავლობაში და მისი აქტივობა გამოიხატება შრომის, სწავლის, დასვენების, ვარჯიშის, თამაშისა და ყოველდღიური ცხოვრებისეული საქმიანობის სახით. აქტივობის ეს თითოეული სახე ადამიანის მიერ წარიმართება, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი უნიკალური თვისებრივი თავისებურებებით, რომელიც ეფუძნება მის გონებრივ და მოძრაობით შემძლებას და ცხოვრებისეულ გამოცდილებას, სპეციფიკურ ჩვევებს, მსოფლმხედველობას და ზნეობრივ ფასეულობებს, რომლებსაც ადამიანი იძენს გარემოსთან და ცხოვრებასთან მუდმივი ურთიერთკავშირის პროცესში.

აქტივობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი მოაზროვნე, დინამიური არსებაა და იგი მოქმედებს სივრცეში და დროში. აქედან გამომდინარე, ფიზიკური აქტივობის დონე განსაზღვრავს ადამიანის ინტეგრაციის ხარისხს გარემოში და სოციუმში იმდენად, რამდენადაც ადამიანი შეძლებს შესარულოს გარკვეული სამუშაო (მოძრაობითი დავალება) და იზრუნოს საკუთარ თავზე. ეს აქტივობა კი ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ მოძრაობით, მისი ნერვული და კუნთური სისტემის საშუალებით. ადამიანის ფიზიკური აქტივობის დონე დამოკიდებულია მისი ფსიქიკის და კუნთური სისტემის განვითარების დონეზე. ფიზიკური აქტივობის კომპონენტებია:

1. სხეული — ფსიქიკა,
2. დრო — სივრცე,
3. ფიზიკური ვარჯიშები,
4. სოციალური გარემო.

როდესაც ადამიანი მოძრაობს, მისი გონება და სხეული მთლიანად ჩართულია ამ პროცესში. გონების კარნასით სხეული ასრულებს მოძრაობით დავალებას იმდენად, რამდენადაც გონება აღიქვამს მოძრაობის სტრუქტურას, განსაზღვრავს მოძრაობის აუცილებლობას (საჭიროებას) და სხეული ასრულებს ამ დავალებას იმდენად, რამდენადაც შეუძლია მისი შესრულება კუნთურ სისტემას. მოძრაობას კი ყოველთვის სტირდება გარკვეული სივრცე და დრო. ეს ყველაფერი ვერ შესრულდება თუ არ იქნება სოციალური გარემო, პირობები ფიზიკური აქტივობის ამოცანათა გადასაწყვეტად. თუმცა, ადამიანი ყოველთვის შედის ინტეგრაციაში გარემოსთან იმ შესაძლებლობების შესაბამისად, რამდენი შესაძლებლობაც გააჩნია მას.

ფიზიკური აქტივობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისათვის წარმოადგენს ფიზიკური რეაბილიტაციის და სოციალური ინტეგრაციის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას, რომელიც ხორციელდება პედაგოგიური მეთოდებით და მის მიზანს წარმოადგენს ორგანიზმის ნარჩენი რესურსების გამოყენების საფუძველზე, ყოფა-ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამო-

მუშავება და დამოუკიდებლობის მაქსიმალური დონის მიღწევა. თუ მედიცინის ამოცანაა დაავადების მკურნალობა, ადაპტიური ფიზიკური აქტივობის ამოცანაა, შესაძლებლობის ხარისხი, რომელიც თვით დაავადებისაგან არის წარმოშობილი (გამოწვეული). შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანს შეიძლება ჰქონდეს უნარ-შესაძლებლობების მთელი სპექტრი, რომელიც რეალურად არასდროს გამოუვლენია. მის განვითარებასთან და ზრდასთან ერთად, არ მომხდარა უნარ-ჩვევების განვითარება, მათი გადატანა რეალურ ქცევაში, ფიზიკურ მოქმედებაში და მოძრაობითი გამოცდილების შეძენაში. ადაპტიური ფიზიკური აქტივობა ადამიანს ეხმარება შეიძინოს, აღადგინოს და განავითაროს ის მოძრაობითი უნარ-ჩვევები, რომლებიც უმნიშვნელოვანესია მისი დამოუკიდებელი ფუნქციონირებისათვის, ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. საშუალებას აძლევს ისწავლოს და გამოიყენოს თავისი საკუთარი ფიზიკური, ემოციოური, კოგნიტური (შემეცნებითი), ფუნქციური და სოციალური პოტენციალი. ეხმარება იმ სფეროში, სადაც მისი განვითარება შეჩერებულია და არ განიცდის პროგრესს. აძლევს იმ ბაზისური უნარ-ჩვევების შეძენის შესაძლებლობას, რომელზედაც დააშენებს უფრო რთულ და კომპლექსურ უნარებს.

უმრავლეს შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს აგრეთვე აღნიშნებათ ქცევითი დარღვევები, რის გამოც, მნიშვნელოვნად იზღუდებიან გარემოსთან ინტეგრაციასა და სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში. სწორედ, იმაში მდგრმარეობს ადაპტიური ფიზიკური აქტივობის ამოცანა, რომ თავის უსაზღვრო შესაძლებლობების ზეგავლენით, ფიზიკურ განვითარებასთან ერთად, მოსწავლეებს აუმალლოს ადამიანებთან ურთიერთობის და საზოგადოებაში ქცევის კულტურა და ამ გზით გამოუმუშაოს ადაპტიური ქცევა.

ადაპტიური ფიზიკური აქტიობის მიზანია, მისი ოთხი კომპონენტის ურთიერთკავშირის საფუძველზე, ადამიანების ორგანიზმის ნარჩენი ფუნქციების განვითარების გზით, ყოფა-ცხოვრებისათვის ისეთი აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომლებიც უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ დამოუკიდებლობას.

ადაპტიური ფიზიკური აქტივობის პროცესში დაცულია ოთხი ძირითადი კომპონენტის — ადამიანის (სხეული-ფსიქიკა), დროისა და სივრცის, ფიზიკური ვარჯიშების და სოციალური გარემოს ურთიერთკავშირის აუცილებლობა. აქედან, ერთი კომპონენტის იგნორირება, აუცილებლად გამოიწვევს ადაპტიური ფიზიკური აქტივობის კომპონენტების ურთიერთკავშირის წყვეტას, რაც უარყოფითად აისახება ადაპტიური ფიზიკური აქტივობის მიზნების შესრულებაში.

# რეაბილიტაციის ტექნიკური სამუალებელი



## ტუალეტის სკამი

სკამი სანიტარული მოწყობილობით. გამოიყენება პირადი ჰიგიენისათვის.

**ეჭლი—სავარძელი სანიტარული მოწყობილობით**  
ეჭლი—სავარძელი სანიტარული მოწყობილობით განკუთვნილია პირადი ჰიგიენისათვის პასიური და აქტიური გამოყენების მიზნით. დასაჯდომი პლასტმასისაა. გააჩნია რბილი ბალიში, მოსახსნელი ქოთანი სახურავით. გამოდის სხვადასხვა ვარიანტებით პაციენტის ინდივიდუალური მოთხოვნილების მიხედვით.



**ჰიდრაულიკური ამონი ააფიენტის გადაადგილებისათვის**  
ამნე გამოიყენება ტრავმის და ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციის პერიოდში და შეიძლება გამოყენებული იქნეს, როგორც კლინიკურ, ასევე სახლის პირობებში.

- ამნეს სიმაღლე - 0 -დან 1250 მმ-მდე;
- წონა - 30კგ.;
- ეწევა - 175 კგ-მდე;
- მაქსიმალური სიმაღლე - 2000მმ.



## ზედა პილურების ტრენაჟორი

ტრენაჟორი განკუთვნილია წინამხრისა  
და იდაყვის სახსრის ვარჯიშისათვის

### უჯრედების მატრაცი

მატრაცი განკუთვნილია ნაწოლების პროფილაქ-  
ტიკისათვის და გამოიყენება საყრდენ-მამოძრა-  
ვებელი აპარატის და ცენტრალური ნერვული სის-  
ტემის დაზიანების მქონე პაციენტებისათვის. მძიმე  
სომატური დაავადების მქონე პირებისათვის, რომ-  
ლებიც იმყოფებიან ხანგრძლივ იძულებით მწო-  
ლიარე მდგომარეობაში. მატრაცი დამზადებუ-  
ლია სპეციალური წყალგაუმტარი მასალისაგან. არ  
იტოვებს სუნს და შეიძლება მისი მრავალჯერადი  
გამოყენება. გააჩნია უხმო კომპრესორი. მატრაცის  
უჯრედებში ჰაერის წნევა ავტომატურად რეგუ-  
ლირდება ყოველ 3 წუთში ჭადრაკისებურად უჯრე-  
დებში ჰაერის მორიგეობითი შეშვებით.

- მოხმარების მდგომარეობაში მატრაცის ზომაა - 2000X900X60მმ.
- წონა – არა უმეტესი 1,6კგ.
- მაწიმალური ტვირთვამძლეობა - 135 კგ.
- მაქსიმალური წნევა - 10,60.
- კომპრესორი მუშაობს - 220 ვოლტზე.
- კომპრესორის სომძლავრე – 5 ვატი.



ზურნალი „იმედი+“ აცხადებს მიღებას სარეკლამო მენეჯერის თანამდებობაზე;  
მოთხოვები:

- ასაკი — 25 წლიდან;
- კომუნიკაციურობა, საქმიანი მოლაპარაკების უნარი;
- მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება სარეკლამო მენეჯერის თანამდებობაზე;
- ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა.

სამუშაო გრაფიკი თავისუფალია. ხელშეკრულებით.

მისამართი: 0171 თბილისი. ს.ჩიქოვანის ქ. 14.

ტელ. 36-56-27. მობ. 893 335 887. ელ. ფოსტა: pr\_imediplus@yahoo.com

## რეაბილიტაციის ახალი ტექნოლოგია

### პარაპოდიუმი გამოიყენება ინვალიდთა რეაბილიტაციის პროცესში და იგი ეყრდნობა კონცე-ფიციას, რომ — მოძრაობა ადამიანის თანდაყოლილი სასიცოცხლო მოთხოვნილებაა,, რომელიც ამავე დროს (მოძრაობითი თერაპია, კინეზითერაპია) თერაპიული საშუალებაა და გააჩნია ადა-მიანის ორგანიზმზე საკმაოდ სპეციფიკური ზემოქმედება, სტიმული და არსებითად ცვლის ადა-მიანის სიცოცხლის და ცხოვრების ხარისხის დონეს.



მჯდომარე ან მწოლიარე იძულებით მდგომარეობაში ყოფნის შედეგად მოძრაობითი აქტიუ-რობის მკვეთრი შეზღუდვა წარმოადგენს ისეთი ურთიერთდაკავშირებული დაავადებების წარ-მოშობის მიზეზს, როგორიცაა კანის მთლიანობის დარღვევა, გულსისხლძარღვთა სისტემის დეგენერაციული ცვლილებები, ორთოსტატიკური ჰიპოქსიის სინდრომი, ღრმა ვენების თრომ-ბი, ფილტვების არტერიის ემბოლია, ფილტვების ანთება, უანგბადის მაქსიმალური მოხმარების შემცირება, შარდის გამოყოფის დარღვევა, წონაში მატება ნივთიერებათა ცვლის დაქვეითების შედეგად და ა.შ.



პარაპოდიუმის საშუალებით ინერგება რეაბილიტაციის ახალი ფორმა, რომელიც დაფუ-ნებულია კუნთურ და ძვლოვან სისტემაზე დატვირთვის თანდათანობითი ზრდის საშუალე-ბით ადამიანის ორგანიზმის ბუნებრივ ცვლილებებზე. ამის გამოყენებით შესაძლებელი ხდება არა მარტო ორგანიზმის დისფუნქციის პროფილაქტიკა, არამედ სხვადასხვა სტადიაში მყოფი დაავადების მკურნალობა. პაციენტის ვერტიკალური დგომის გამომუშავების სხვა საშუალე-ბებისაგან პარაპოდიუმი იმით განსხვავდება, რომ იგი უფრო შედეგიანად ზემოქმედებს პაცი-ენტის ორგანიზმზე.

ექსპლოატაციაშია სამი სახის პარაპოდიუმი:

1. სტატიკური;
2. მობილური და
3. ავერტიკალური პარაპოდიუმი.



**სტატიკური პარაპოდიუმი** — წარმოადგენს ორთეზის სისტემას და განკუთვნილია მათთვის, ვისაც ესაჭიროება დამბლების შედეგად დაზიანებული ზედა და ქვედა კიდურების რეაბილიტაცია და არ შეუძლიათ იხმარონ დინამიკური პარაპოდიუმი. ამ მოწყობილობის მდგრადი კონსტრუქცია უზტუნველყოფს მოხერხებულ, მყარ და უხიფათო ვერტიკალურ მდგომარეობაში რამოდენიმე საათით ყოფნას (დგომის), ზედა კიდურების ფუნქციის ინტენსიურ აღდგენას და საყოფაცხოვრებო თვითმომსახურების უნარ-ჩვევების გამომუშავებას სხვა დამატებითი სარეაბილიტაციო მოწყობილობების (მაგიდა, ბორბლები, სხვადასხვა სახის ნივთები და ა.შ.) გამოყენებით. დამატებითი მოწყობილობები პარაპოდიუმს ქმნის პაციენტის ყოველდღიურ ცხოვრებაში ძალზე ფუნქციონალურ პროდუქტად.

**მობილური პარაპოდიუმი კომპ** — განკუთვნილია მათთვის, ვისაც სურს გამოიყენოს სტატიკური და დინამიკური პარაპოდიუმების დამახასიათებელი უპირატესობები. იგი შედგება ერთი ჟილეტისა და ორი ძირითადი, სტატიკური და დინამიკური საყრდენისაგან. საკმარისია ჟილეტის შენაცვლება (გადატანა), რომ პაციენტს შეუძლია ორივე საყრდენის შესაძლებლობების შესაბამისად გამოყენება.

მობილური პარაპოდიუმი კომბო შესაძლებელია გამოყენებული იქნეს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე სარეაბილიტაციო ცენტრებში, სადას რეაბილიტაციის პროცესში გამოიყენება სხვადასხვა თერაპიული პროცედურები სხვადასხვა კუნთების ჯგუფებისათვის.



**ავერტიკალური პარაპოდიუმი** — წარმოადგენს სტატიკური პარაპოდიუმის ვარიანტს და განკუთვნილია იმ პაციენტებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ მკვეთრი ვერტიკალური მდგომარეობის მიღების უკუჩვენება. ეს მოწყობილობა ხელს უწყობს ვერტიკალურ მდგომარეობაში დგომის თანდათან გამომუშავებას და შესაძლებელს ხდის კუთხის მარეგულირებელის საშუალებით პაციენტის შესაძლებლობის შესაბამისად ნაწილობრივი დახრის დაფიქსირებას -10 +10 გრადუსის დადგენილ დიაპაზონში.

## ბოლოსმი, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე “გათიადია”

თემატიკური მიძიაშვილი

**მ.წ. 22 სექტემბერს, ბოლნისში გაიხსნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო ცენტრი “განთიადი”, რომელიც დიდი მოვლენაა არა მარტო ბოლნისის, არამეს ქვემო ქართლის რეგიონის ცხოვრებაშიც. ამ მხარეში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო ცენტრის გახსნა პირველი მაგალითია, რომელიც გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს და სტიმულიატორი უნდა გახდეს ქვემო ქართლის სხვა რაიონებისთვისაც.**

იმ დღეს, ადრიან დილას, ბოლნისის ცენტრალურ ქუჩაზე, დავით ალმაშენებლის 50-ში გამოცოცხლება იყო. ვის არ ნახავდით აქ, რაიონის ხელმძღვანელობის პირველ პირებს, სტუმრებს დედაქალაქიდან, მოწვეულ მშიბლებს და, რა თქმა უნდა, იმ ბავშვებს, ვისთვისაც კეთდებოდა ეს ყველაფერი. აქ იხსნებოდა ბოლნისის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო ცენტრი “განთიადი”. იყო სიცილი, მილოცვები, გულწრფელი სიხარული და, რა თქმა უნდა მუსიკა, რომელიც ძალიან უხდებოდა შექმნილ ატმოსფეროს.

ჩვენი კორესპონდენტი ესწრებოდა ბოლნისის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო ცენტრის გახსნას და გთავაზობთ ინტერვიუს ცენტრის დამფუძნებლებთან და ხელმძღვანელებთან.

**თამარ გვიდიანი —**

ბოლნისის მუნიციპალიტეტის სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო ცენტრის “განთიადის” დირექტორი — მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს პროექტი განახორციელა ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა და გაეროს ბავშვთა ფონდმა (იუნისეფმა), სადაც დიდი დამსახურება მიუძღვის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ იოსებ ლალიაშვილს, რომელიც ამ იდეის წარმოშობიდან დღემდე მუდმივად გვედგა მხარში და გვეხმარებოდა ყოველგვარი წარმოქმნილი პრობლემის გადაწყვეტაში. მინდა მადლობა გადაუხადო აგრეთვე გაეროს ბავშვთა ფონდს და მის წარმომადგენელს ქვემო ქართლის მხარეში, ქალბატონ ეკა ბედიანაშვილ განეული დიდი მუშაობისათვის, რომელიც ჩვენს მიერ განსაკუთრებულ დახმარებად იქნა აღქმული.

აღნიშნული პროექტი ერთ წლიანია, რომელიც შემდგომში მუშაობას გააგრძელებს ადგილობრივი დაფინანსებით. ახლა კი, პროექტის გეგმის შესაბამისად ადგილობრივი კადრებიდან მომზადდა პედაგოგები, ექიმები, ფსიქოლოგები, არტხელოვნების თერაპიის სპეციალისტები, მუსიკის მასწავლებლები, კორექციუ-



ლი პედაგოგები. ძიებად იმუშავებენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც გააჩნიათ ექთნის სპეციალობა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცენტრი ძალიან თავისებური, სპეციფიკური ხასიათის ორგანიზაციაა, სადაც ყოველ თანამშრომელს მოუნევს უდიდესი პასუხისმგებლობის, ცოდნისა და გამოცდილების მაქსიმალურად გამოვლენა. ვთიქონ, წამონებული პროექტი უფრო განვითარდება და აუცილებლად შეასრულებს დასახულ მიზანს.

**ეკა ბედიანაშვილი —**

გაეროს ბავშვთა ფონდის ბავშვთა დაცვის კოორდინატორი ქვემო ქართლის მხარეში — აღნიშნული ცენტრის შექმნისა და ჩამოყალიბების იდეა ეკუთვნის ბოლნისის მუნიციპალიტეტს.



აქ არსებობდა, როგორც ტექნიკური, ასევე ინტელექტუალური პირობები ამ პროექტის განხორციელებისათვის. ფინანსური მხადჭერა რაიონის მუნიციპალიტეტთან ერთად განახორციელა გაეროს ბავშვთა ფონდმა. შუამავლობა იკისრა ასოციაციამ — “უნარშეზღუდული ბავშვები და საზოგადოება”, რომლის ხელმძღვანელია ქალბატონი ნინო მარუაშვილი. მანვე გააკეთა სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო ცენტრის პროექტი. ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა გამოუყოთ შენობა და გარკვეული თანხები, მანვე აიღო თავის თავზე ტრანსპორტით უზრუნველყოფა. ფინანსური უზრუნველყოფა განახორციელა გაეროს ბავშვთა ფონდმა, ჩვენ დავეხმარეთ, ასე ვთქვათ, სერვისის შექმნაში. გარდა ამისა, ავიყვანეთ კონსულტანტი, რომელიც სერვისის გამართვაში დაეხმარებათ, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, არსებობს სტანდარტი, რომელსაც ყველა აღმზრდელობითი დაწესებულება უნდა დაექვემდებაროს და სწორედ მოწვეული კონსულტანტი ამ სტანდარტის განხორციელებაში დაეხმარებათ. აღსანიშნავია, რომ ყველა გათვალისწინებული სამუშაო შესრულებულია და ვიმედოვნებთ ეს ცენტრი გადაიქცევა ერთ-ერთ მნიშვნელოვან, სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო მიმართულების ორგანიზაციად ქვემო ქართლში. ეს პროგრამა პირვე-



ლად ბოლნისში განხორციელდა და იმედია ქვემო ქართლის სხვა რაიონების მუნიციპალიტეტები მობა- ძავენ ამ შესანიშნავ წამოწ- ყებას.

**იოსებ ლალიაშვილი — ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებელი.** — ბოლ- ნისის მუნიციპალიტეტმა გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით გამო-



ხატამზადყოფნა, რომბოლ- ნისში გახსნილიყო სარეაბილიტაციო-საგანმანა- თლებლო ცენტრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის. ჩვენ მზად ვართ ამ ბავშვებს ყოველნაირად შეუწყოთ ხელი, რათა თავი იგრძნონ საზოგადოების ღირსეულ წევრებად. ამისათვის კი მუნიციპალიტეტი გააკეთებს ყველაფერს. ამჟამად, გარდა იმისა, რომ გამოვყავით და შევაკეთეთ შენო- ბა, მათი მომსახურებისათვის გამოვყავით ტრანს- პორტი და გაეროს ბავშვთა დაცვის ფონდთან ერ- თად ფულადი სახსრები. მომავალი წლიდან ჩაისმება რაიონის ბიუჯეტში და სრულად დაფინანსდება. და ბოლოს, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ გვინდა ამ მოზარდებმა იცხოვრონ იმ ცხოვრების წესით და იმ რეჟიმით, რასაც საზოგადოებასთან ნორმალური ინტეგრაცია ჰქვია.

**ნინო მარუაშვილი — ასოციაცია „უნარ- შეზღუდული ბავშვები და საზოგადოება“-ს ხელმძღვანელი** — დღეს დაიწყო მუშაობა შეზ- ღუდული შესაძლებლო- ბების მქონე ბავშვთა



ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში განხორციელებულმა პროექტმა — ბოლნისის თერაპიული ცენტრი განსხვავებული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის, რომელიც მიმართულია უშუალოდ იმისათვის, რომ მოხდეს ამ კონტიგენტის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ადაპტაცია. ცენტრი ძირითადად დატვირთული იქნება თერაპიული განხრით, იმიტომ, რომ თერაპიის გავლენა შეუდარებელი და შეუცვლე- ლია მათთვის. განხორციელდება მათი დიფერენცი- რებული დაყოფა უნარ-ჩვევების შესაძლებლობების მიხედვით და უმცროსი ჯგუფი მოემზადება ინკლუ- ზიისათვის. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ ბავშვებს მო- მავალ წელს თუ არა, 2010 წლისათვის შევუშვებთ სა- ჯარო სკონებში და განვახორციელებთ ინკლუზიას. რაც შეეხება საშუალო და უფროს უნარ-ჯგუფებს, დატვირთული იქნებიან ძირითადად საკორექციო მუშაობით, არტელოვნების თერაპიით და სოციალ- ური თერაპიით. ამავე დროს ჩვენთან არის სიახლე.. რეგიონში ჯერჯერობით რეკრიაციული თერაპიის განხრით მუშაობა ჯერ არ დაწყებულა და აი, ჩვენ ვიწყებთ ამის განხორციელებას და ძალიან შევ- ეცდებით რომ ეს გამოგვივიდეს.

რაც შეეხება სარეაბილიტაციო-საგანმანათლე- ბლო ცენტრის მომავალს, ვფიქრობ, რომ სერვისი არის მუდმივი, პროექტი მდგრადი და იქიდან გა- მომდინარე, რომ ჩვენ ვართ პროექტის ავტორი ორგანიზაცია, რომლის განხორციელებაშიც დიდი წვლილი მიუძღვის გაეროს ბავშვთა ფონდას და ბოლნისის რაიონის მუნიციპალიტეტს, ჩვენ ვიმე- დოვნებთ, რომ საქართველოს ჯანმრთელობის დაც- ვის სამინისტროს მხარდაჭერით სერვისი აუცილე- ბლად გააგრძელებს ფუნქციონირებას იმ დრომდე, სანამ ამ ბავშვებს დასჭირდებათ.

**რომან კარაჭიშვილი**

**— არტხელოვნების თერა- პევტი —** არტხელოვნების თერაპიას შეზღუდული შესაძლებლობების ბავშ- ვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროცეს- ში უდიდესი მნიშვნელო- ბა გააჩნია. ეს არის ხელოვნების დარგი, რომელიც მოიცავს მხატვრობას, ხეზე და თიხაზე მხატვრულ მუშაობას, ძერწვას, ბუნების შემეცნებას და ა.შ. არტხელოვნების თერაპია ძალიან მრავალფეროვა- ნია და მოიცავს ისეთ საშუალებებს, რომელიც ბავშ- ვს აძლევს შემოქმედებითი უნარის განვითარების საშუალებას და ამის საშუალებით აღმოვაჩინთ ბავშვის მიღრევილებას ამა თუ იმ საქმისადმი.



ამჟამად მომზადებულია არტხელოვნების თერა- პიის 3 სპეციალისტი, რომლებიც კვირაში სამი დღე იმუშავებენ. ამასთან, თბილისიდან ჩამოვლენ არტხ- ელოვნების თერაპიის სპეციალისტები და პერიოდ- ულად გაგვიწევენ დახმარებას. ჩემი მისია ცოდნა და გამოცდილება გავუზიარო ახალ კადრებს, შე- საბამისად მოვამზადებ მათ და ერთი წლის შემდეგ გააგრძელებენ მუშაობას.

**გია კაკაჩია — საქართველოს შრომის, ჯანმრთ- ელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ბავშვთა მზრუნველობისა და სი- ციალური პროგრამების სამმართველოს უფროსი** — ჩვენი პროგრამები მიმართულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, რათა მოვახ- დინოთ მათი საზოგადოებაში ინტეგრირება. წელს



ჩვენ შევიმუშავეთ სამოქმედო გეგმა 2009-2012 წლებისათვის და მათ შორის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ასეთი ტიპის სერვისების განვითარება. ე.ი ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობის პირებისათვის დღის სერვისის განვითარება. ფაქტობრივად ეს სერვისი ყველაზე კარგად მუშაობს, ყველაზე კარგად ეხმარება შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებს და არა მარტო მათ. ხდება მათი სხვადასხვა უნარების გამომუშავება—სწავლება და საზოგადოებაში ინტეგრაცია. ხდება ამ ხალხის სახლიდან გამოყვანა და დიდ საზოგადოებაში ჩართვა. რა თქმა უნდა ჩვენ მივეხმარებით ამ ინიციატივას ქვეყანაში ასეთი სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო ცენტრების განვითარების მიმართულებით. ამავე დროს მსურს ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადაუხადო გაეროს ბავშვთა ფონდს



და ადგილობრივ მუნიციპალიტეტს ასეთი შესანიშნავი პროექტის განხორციელებისათვის.

რაც შეეხება მრომის, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს პოზიციას ამ საქმეში, უნდა გითხრათ, რომ სამინისტრო დღეისათვის არა მარტო ბავშვებისათვის, არამედ დიდებისათვისც დაახლოები 22-მდე ცენტრს აფინანსებს. ამავე დროს ჩვენი მიზანია მომავალი წლიდან განვაცალკეოთ დაფინანსება ცალკე ბავშვებისათვის და ცალკე დიდებისათვის. ამჟამად ვაფინანსებთ ბავშვთა ცენტრებს, სადაც დღეში 10 ლარია გამოყოფილი ერთ ბავშვზე. ვერ ვიტყვი რომ დაფინანსება საკმარისი რაოდენობისაა, მგრამ უნდა ითქვას, რომ დღეისათვის ცუდი არ არის.

გოჩა თაგვაძე — ბოლნისის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის, სოციალური დახმარების, ვეტერანთა საქმეების და მიგრაციის სამსახურის უფროსი — თანამედროვე ცხოვრებამ სხვა მოთხოვნები დააყენა ჩვენს წინაშე. ბოლნისში, რა თქმა უნდა, გარკვეული მუშაობა მიმდინარეობდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საკეთილდღეოდ, მაგრამ გვინდოდა კიდევ უკეთესი. ამიტომ, რაიონის მუნიციპალიტეტმა წა-



მოაყენა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სარებილიტაციო ცენტრის შექმნის იდეა. მაგრამ, ეს უნდა ყოფილიყო არა მარტო რეაბილიტაციის, არამედ საგანმანათლებლო-შემეცნებითი ცენტრიც. ამ იდეას მხარი დაუჭირა საქართველოში მოქმედმა გაეროს ბავშვთა დაცვის ფონდმა (იუნისეფმა). როდესაც ამ ცენტრის ფუნქციონირება გადაწყვდა, გამოცხადდა კონკურსი აქ არსებული 14 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად, სადაც 100-მდე მსურველმა მიიღო მონაწილეობა. კონკურსში გამარჯვებულებმა გაიარეს ორ თვიანი მომზადება გაეროს ფონდთან არსებულ არასამთავრობო ორგანისაციაში, რომელსაც ეწოდება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი და საზოგადოება“. ერთი სიტყვით ეს საკითხი ადგილიდან დაიძრა და რაიონის მუნიციპალიტეტი ყველაფერს გააკეთებს, რომ ამ სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო ცენტრმა ნაყოფიერად იმუშაოს.



ბოლნისის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო — საგანმანათლებლი ცენტრის გახსნას ესწრებოდნენ რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენლები, მშობლები და სხვა დაინტერესებული პირები. დასასრულს, ადგილობრივი ძალებით ჩატარდა შესანიშნავი კონცერტი, რითაც ძალიან გაახალისეს მოწვეული სტუმრები და სარეაბილიტაციო-საგანმანათლებლო ცენტრის აღსაზრდელები.



# პაროლიმპიური ამბები

თემურაზ მიძიაშვილი

## სოკ-ის საკორდინაციო კომისიაშ მუშაობა დასრულა

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) საკორდინაციო კომისიამ დაამთავრა თავისი დასკვნითი ვიზიტი ვანკუვერში 2010 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების შესახებ. ვიზიტის შედეგებზე კომენტარი გააკეთა ამერიკული გამოცემა Around the Rings (ოლიმპიური როლის ირგვლივ) მთავარმა რედაქტორმა ედი ჰილამ. — “საკორდინაციო კომისიის მე-9 და დასკვნითი ვიზიტი გაგრძელება ორი დღე, 25- 26 აგვისტო — თქვა ედი ჰილამ — სოკ-ის საკორდინაციო კომისია დარწმუნდა, რომ ოლიმპიურ და პაროლიმპიურ თამაშებში მონაცილე სპორტსმენები, ქვეყნების ნაციონალური ოლიმპიური კომიტეტები, ტელეკომპანიები, უურნალისტები და მაყურებლები მიიღებენ აუცილებელი მომსახურების სრულ კომპლექტს. . . ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების პარალელურად განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ვანკუვერში პაროლიმპიური თამაშების ჩატარების მზადების მიმდინარეობას. ეს თამაშები იქნება ერთ-ერთი საუკეთესო თამაშები პაროლიმპიური თამაშების ისტორიაში” — განაცხადა მან.



## პაროლიმპიური ტალანტების მოძიების დღე

დიდი ბრიტანეთის ეროვნულმა პაროლიმპიურმა კომიტეტმა გამოაცხადა პაროლიმპიური ტალანტების მოძიების ოფიციალური დღე, რომლის მიზანია იმ სპორტსმენების გამოვლენა, რომლებიც დაიცავენ თავიანთი ქვეყნის ღირსებას ლონდონის 2012 წლის ზაფხულის პაროლიმპიურ თამაშებში.

აღნიშნული ღონისძიება ჩატარდება მ/წ 29 სექტემბერს ლონდონის ბრიუნელის უნივერსიტეტში. მონაცილენი ქვეყნის საუკეთესო მწვრთნელებს უწევნებენ თავიანთ ოსტატობას პაროლიმპიური სპორტის სახეობებში. მწვრთნელებმა უნდა განსაზღვრონ ფლობენ თუ არა სპორტსმენები იმ უნარ— ჩვევებს, რომლებიც აუცილებელია მოახლოებული ზაფხულის პაროლიმპიურთამაშებში მონაცილეობისათვის. დიდი ბრიტანეთის პაროლიმპიური კომიტეტი ამ ღონისძიებას მეშვიდედ ატარებს. კომიტეტის პრეზიდენტმა ფილ ლეინმა თქვა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სპორტსმენების გზა პაროლიმპიური თამაშებამდე გაცილებით უფრო



მოკლეა, ვიდრე ოლიმპიურ თამაშებამდე. ამიტომ ახლა, ჯერ კიდევ არ არის გვიან ახალი ტალანტების ძიება. მან თავის ნათქვამს დაუმატა, რომ კომიტეტი ეცდება გამოავლინოს რაც შეიძლება მეტი ნიჭიერი პაროლიმპიელი, რათა ქვეყნის სახელით მოიპოვონ მეტი მაღალი სინჯის პაროლიმპიური მედალი.

## იაპონელი პაროლიმპიური ზეიმობენ

იაპონიის ეროვნულმა პაროლიმპიურმა კომიტეტმა ზეიმით აღნიშნა მისი დაარსებიდან 10 წლის თავი. ამ თარიღთან დაკავშირებით ტოკიოში ჩატარდა პაროლიმპიური დღის ზეიმი. ჩატარების ადგილი იყო იოიიგის პარკის ოლიმპიური ცენტრი, სადაც თავის დროზე ჩატარდა ტოკიოს 1964 წლის ოლიმპიური

თამაშები. პაროლიმპიური სპორტის რამოდენიმე სახეობაში, სადაც ჩართული იყო სიგრძეზე ხტომა და კალათბურთი (ეტლებით). ამასთან სტუმრებს, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის, ასევე ჯანმრთელ პირებს შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა თამაშებში. მაგალითად, გოლბოლში და კალათბურთში. ზეიმში მონაწილეობა მიიღეს იაპონიაში კარდად ცნობილმა პაროლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალის მფლობელმა, აცუში იამამოტომ და მამი სატომ. პერინის პაროლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალის მფლობელმა, აცუში იამამოტომ თქვა:—“ მე გულმხურვალედ ვუჭერ მხარს ტოკიოში ოლიმპიური და პაროლიმპიური თამაშების ჩატარების იდეას, იმიტომ, რომ ეს იქნება მოვლენა არა მარტო იაპონელი, არამედ მთელი მსოფლიოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. “ ტოკიო — 2016 ” მთელ მსოფლიოს აჩვენებს უბარიერო გარემოს 100%-ან შესაძლებლობებს, რომელიც იქნება კარგი მაგალითი და კატალიზატორი სხვა ქვეყნებში უკეთესი ცვლილებებისათვის ”.

ამ ღონისძიებამ მიაღწია თავის მიზანს — იაპონის საზოგადოებას გააცნო პაროლიმპიური მოძრაობა და პაროლიმპიური სპორტის სახეობები,

ასწია მისი ავტორიტეტი და დაანახა საინვალიდო სპორტის განვითარების აუცილებლობა ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. იაპონიის პაროლიმპიური დღე დაამთხვიერს მე-11 აზიური პარათამაშებს, სადაც მონაწილეობას მიიღებენ აზიის ქვეყნების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდა სპორტისმენები.

აღნიშნული თამაშები ჩატარდა ტოკიოს საქალაქო მართველობის, იაპონიის ჯანმრთელობის დაცვის, შრომის და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, ინვალიდთა სპორტული ასოციაციის და ტოკიოში 2016 წელს ოლიმპიური და პაროლიმპიური თამაშების ჩატარების უფლების მოპოვებისათვის მებრძოლი კომიტეტის მიერ.



## ინვასიონი

### ევროპის ჩემპიონატი პირველი უსინათლობი ურდის

უნგრეთის ქალაქ დებრეცეში მიმდინარე წლის 1-7 ივნისს ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში უსინათლოთა შორის. შეჯიბრება ჩატარა უსინათლოთა სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ (IBCA), რომელშიც მინაწილეობდა 17 ქვეყანა. ეს იყო ყველაზე მსხვილი ღონისძიება უსინათლოთა შორის ლონდონის 2012 წლის პაროლიმპირი თამაშების წინ. IBCA-ს ახალმა სპორტულმა დირექტორმა, ბატონმა რადი როზენტალმა ხაზგას-

მით აღნიშნა შეჯიბრების კარგი ორგანიზაცია და სპორტისმენთა მომზადების მაღალი დონე.

შეჯიბრება ჩატარდა 2 ეტაპად. პირველ ეტაპზე გამოვლინდნენ ევროპის ჩემპიონები პირად ჩატალაში, სადაც წონით კატეგორიების მიხედვით ევროპის ჩემპიონები გახდნენ რუსეთის ფედერაციის 6 სპორტისმენი. აგრეთვე მოიპოვეს 7 ვერცხლის და 7 ბრინჯაოს მედალი. აზერბაიჯანის სპორტისმენებმა კი 2 ოქროს, 3 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი.

გუნდურ შეჯიბრებაში ადგილები ასე განაწილდა:

ქალები	ვაჟები
1. რუსეთი	1. აზერბაიჯანი
2. საფრანგეთი	2. რუსეთი
3. ესპანეთი	3. საფრანგეთი და უკრაინა

აღნიშნული ჩემპიონატი იყო ლონდონის 2012 წლის ზაფხულის პაროლიმპიური თამაშების პირველი შესარჩევი ეტაპი. სულ გაიმართება 3 შესარჩევი ეტაპი. მეორე ეტაპი გაიმართება მსოფლიო ჩემპიონათზე, რომელიც ჩატარდება 2010 წლის 26-28 მარტს ანტალიაში (თურქეთი). მესამე ეტაპი დაგეგმილია 2011 წელს.



## ნათესაური ქორწინება და მისი შეღებები

თემაზურაზ კობახიძე

უხსოვარი დროიდან შეამჩნიეს, რომ იმ ოჯახებში, სადაც ერთმანეთში ქორწინდებოდნენ ახლო ნათესავები, იპადებოდნენ არასრულფასოვანი ბავშვები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ მოვლენების ახსნა მეცნიერებმა შეძლეს არც თუ ისე დიდი ხნის წინათ.

ამის შესახებ თვით კაცობრიობის განვითარების პროცესში ხდებოდა ბუნებრივი ექსპერიმენტების ჩატარება, სადაც გამოვლინდა მემკვიდრეობითი დაავადებების მრავალი მაგალითი. ეს პროცესი ნათლად ჩანს სხვადასხვა სამეფო დინასტიების ისტორიული ცხოვრებიდან, სადაც ნათესაური ქორწინებები წახალისებული იყო დიპლომატიური მოსაზრებების გამო და “მეფური სისხლის” დაცვის მიზნით.

ამერიკელმა მეცნიერმა ა. ვუდსმა, შეისწავლა ჰანოვერების, ჰოჭენცოლერნების, კონდეთა, ბურბონების, ჰაბსბურგების სამეფო სახლების გენიოლოგია და მათ ოჯახებში აღმოაჩინა იმ ადამიანების დიდი რაოდენობა, რომლებსაც გააჩნდათ მემკვიდრეობითი დაავადებები.

მრავალი ერების და ხალხების კანონები და ადათ - წესები პირდაპირ ან ირიბად ენინააღმდეგებიან (კრძალავენ) ნათესაური ქორწინებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს წესი დღემდეა გავრცელებული აზის ზოგიერთ ქვეყანაში. ხანდახან, ეს განპირობებულია ნაციონალური ან რელიგიური ტრადიციებით ან გეოგრაფიული პირობებით, სადაც, შეზღუდულია საქორწინო არჩევანი. მაგალითად, ჰატარა, ძნელად მისადგომ დასახლებულ პუნქტებში, მთებში, კუნძულებზე, უდაბნოებში, დაბალი სიმჭიდროვით დასახლებულ პუნქტებში და ა.შ.

ინდოეთში, სამხრეთ შვეციაში, ადრიატიკის ზღვის კუნძულებზე, სამხრეთ აფრიკაში, კვიპროსზე, ფინეთში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რეგიონში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ნათესაური ქორწინებით გაჩენილ ბავშვებში ამაღლებული იყო სიკვდილიანობის შემთხვევები, მათ შორის, ხშირი იყო მემკვიდრეობითი დაავადებები, ისეთი მძიმე დაავადებები, რომლებსაც თან ახლდა გონებრივ განვითარებაში ჩამორჩენილობა, სიბრმავე, კუნთების დისტრიბუტორი, სიყრუე, ძვლის სისტემის ცვლილებები და ა.შ.

ხშირია შემთხვევები, როდესაც პრაქტიკულად ჯანმრთელ მშობლებს ეპადებათ ავადმყოფი შვილები, რადგან საბედისწერო შემთხვევითობის წყალობით ისინი არიან ერთიდაიგივე გადაგვარებული გენის მატარებლები. სრულიად ნათელია, რომ ახლო ნათესავებს შორის ასეთი გენის ორი

მატარებლის აღმათობა უფრო მაღალია, ვიდრე იმ ადამიანებში, ვისაც არ გააჩნია ნათესაური კავშირი. ეს იმას ნიშნავს, რომ მათი შვილების მემკვიდრეობითი დაავადების რისკი უფრო დიდია. ასე გადაეცემა, მაგალითად, ის დაავადება, რომლისათვისაც დამახასიათებელია განვითარებაში შეფერხება, მხედველობის დეფექტი და ა.შ.

ნათესაურ ქორწინებაში დაბადებული ბავშვების ანალიზმა მეცნიერებს დაანახა, რომ მათ სხვადასხვა თაობებს შორის აღმოჩნდნენ ისეთი ნათესავები, რომლებსაც გააჩნდათ სიმსუქნე, გონებრივ განვითარებაში ჩამორჩენილობა, სხვადასხვა ფსიქიური დარღვევები. მემკვიდრეობით შეიძლება გადაეცეთ არა თვით ეს დაავადებები, არამედ ორგანიზმის თავისებურებები (განსაკუთრებულობა), სხვადასხვა ავადმყოფობის განვითარების მიღრეკილება. ამ მიმართებით ძალიან საინტერესოა დაკვირვება, რომელიც ჩატარდა იმ იზოლირებულ რეგიონებში, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობენ რიგ ქვეყნებში. გაირკვა, რომ ზოგიერთ ადგილზე, ნათესაური ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვებს უპირატესად გააჩნიათ სიბრმავე, გონებრივი ჩამორჩენილობა, კუნთური დისტრიბუტორი, სიყრუე და ა.შ.

აღნიშნულმა გამოკვლევებმა დაგვანახა, რომ ნათესაური ქორწინება სახითათოა მომავალი თაობის კეთილდღეობისათვის. თანამედროვე მეცნიერებამ ამით აჩვენა, რამდენ ზიანს აყენებს საზოგადოების ჯანმრთელობას სექტანტობა, კასტურობა, ნაციონალური განკერძოება (განმარტოება), რომლებიც ხელს უწყობენ ნათესავებს შორის ოჯახების შექმნის გარდუვალობას.

ჩვენს ქვეყანაში ქართული, ეროვნული ტრადიციები, მართლმადიდებლური მოძღვრება კრძალავს ნათესაურ ქორწინებას და ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, საგანგაში არაფერია. ამ მოვლენას ქართველებმა თავისი შესაბამისი, შეიძლება ითქვას, მასზე მორგებული სახელი შეარქვეს და ნათესაურ ქორწინებაში მყოფ გვარებს “გვარგატეხილი” უწოდეს. მაგრამ, თუ კი მაინც არსებობს ნათესაური ქორწინებით შექმნილი ოჯახები, როგორ მოიქცნენ?

ბევრი რამ დამოკიდებულია ნათესაობის დონეზე: რაც უფრო ახლოა ნათესაობა, მით უფრო დიდია ავადმყოფი შთამომავლობის დაბადების რისკი. აგრეთვე მნიშვნელობას იძენს ნათესაურ ქორწინებაში მყოფი პირების წინაპართა ჯანმრთელობის მდგომარეობა. ყველაფერი ეს ძალიან სერიოზულად უნდა იქნეს გაანალიზებული და აუცილებლად კონსულტირებული მედიკოს—გენეტიკოსთან.

## ლაუნის სინდრომი

მიხეილ მიძიაშვილი

1866 წელს ჯონ ჰაიდონ დაუნმა გონებრივივად ჩამორჩილ ბავშვებში აღნირა სხეულის ტიპი, რომელიც გამოირჩევა დამახასიათებელი ნიშნებით. ამ ტიპს მან “მონგოლიური ტიპი” უწოდა. დაუნი ვარაუდობდა, რომ დარვინის მოძღვრების თანახმად, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს “უკუგანვითარების მაგალითს” ან “სხვა რასისათვის” დამახასიათებელი ნიშნების გადმოღებას.

ამჟამად მოძველებული ტერმინი - “მონგოლიზმის” ნაცვლად გამოიყენება მორბუს დაუნი ან დაუნის სინდრომი. დაუნის დაავადების მიზეზი 1959 წელს დაადგინეს ჯერომ ლეჯენდმა, რეიმონდ ტურპინმა და მათე გაინერმა. მათ აღმოაჩინეს, რომ ამ ტიპის ავადმყოფების ორგანიზმის უჯრედებში 21-ე ქრომოსომა ნორმისაგან განსხვავებით ორმაგი კი არა, სამმაგია.

თავისუფალი ტრისომია 21-ის დროს, ორგანიზმის ყველა უჯრედში გვხვდება 21-ე ქრომოსომის 3 ეგზემპლარი. ამის მიზეზი ისაა, რომ დედის კვერცხუჯრედის დაყოფისას ორი ქრომოსომა ერთმანეთს არ შორდება (ამ მოვლენას იშვიათად აქვს ადგილი მამის სპერმატოზოდშიც) და განაყოფიერების შემდეგ ნაყოფს ერთ-ერთ მშობლისგან ერთის ნაცვლად ორი ქრომოსომა გადაეცემა. ადგილი აქვს არა მემკვიდრეობით დაავადებას, არამედ სასქესო უჯრედიბის “დაბერების პროცესს”.

ტრანსლოკაციის მატარებელი მშობელი ჯანმრთელია, მაგრამ შთამომავლობის 50%-ს გადასცემს ქრომოსომას, რომელზეც მიკრულია 21-ე ქრომოსომის გრძელი მხარი. ამრიგად, ბავშვი მემკვიდრეობით ლებულობს ორ ინტაქტურ 21-ე ქრომოსომას და დამატებით 21-ე ქრომოსომის გრძელ მხარს. ასეთ ოჯახებში, შესაძლოა დაუნის სინდრომით დაავადებული რამდენიმე ბავშვი დაიბადოს. ადგილი აქვს ერთ-ერთი მშობლისგან მემკვიდრეობით მიღებული დაავადებას.

დაუნის სინდრომის სიმპტომებია - სხვადასხვა ხარისხით გამოხატული გონებრივი შეზღუდულობა, სხეულის საშუალოზე პატარა ზომა, მცირე ზომის თვალის გარშემონერილობა, ნუშისებრი თვალები - კანის ნაოჭით ქუთუთოების შიდა ნაწილთან, ბრტყელი ცხვირი, პატარა, ღრმად ჩამჯდარი ყურები, ღია პირი და გამოყოფილი ენა, მოკლე კისერი, მოკლე ხელები მოკლე თითებით და ა.შ. ხშირია გულის თანდაყოლილი მანკი, კუჭ - ნაწლავის ტრაქტის ანომალიები, მხედველობისა და

სმენის დარღვევები; დამახსიათებელია მიღრეკილება ინფექციური დაავადებებისა და ლეიკემიისადმი. ადრე დაუნის სინდრომით დაავადებული პაციენტების 90% იღუპებოდა 25 წლამდე ასაკში, ამჟამად, ადრეული მკურნალობის დახმარებით, ასეთი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 50 წლამდე და მეტადაც გაიზარდა.



ჯონ ჰაიდონ დაუნი

ყველა ასაკის ჯგუფ-ში დაუნის სინდრომით დაავადების რისკი არის 1:600დან 1:1000-მდე. რისკი იზრდება დედის ასაკის ზრდასთან ერთად. დაუნის სინდრომით დაავადებული ბავშვების 1/3 გაჩენილია 35 წელზე უფროსი ასაკის დედების ხოლო, დანარჩენი - 35 წელზე უმცროსი ასაკის დედების მიერ. მაგ: გერმანიაში მცხოვრები დაუნის სინდრომით დაავადებული 30,000 პაციენტიდან 20,000 გაჩენილია 35 წლამდე ასაკის დედის მიერ.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს აღენიშნებათ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მრავალი თანდაყოლილი ანომალია, როგორიცაა საყლაპავი მიღის ბლოკადა, კუჭის სარქველის შევიწროვება, თორმეტგოჯა ნაწლავის გადაკეტვა, მსხვილი ნაწლავის ზოგიერთ მონაკვეთში ნერვული უჯრედების არარსებობა. ამ ანომალიათა უმრავლესობა სასწრაფო ქირურგიულ ჩარევას საჭიროებს, რათა აღდგეს ნაწლავის ნორმალური ფუნქცია - საკვები ნივთიერებისა და სითხის შეწოვა.

ჩვილობის ასაკში დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში ხშირია კვებასთან დაკავშირებული პრობლემები და წონაში არასაკმარისი მატება. ასეთი ვითარება განსაკუთრებით დამახასიათებელია გულის თანდაყოლილი დაავადების მძიმე შემთხვევებისათვის. შესაბამისად, შესაძლოა მოხდეს შეფერხება ზრდასა და წონის მატებაში. გულის თანდაყოლილი დაავადების მქონე ბავშვებს სჭირდებათ დამატებითი კალორიების მიღება, რასაც უზრუნველყოფს საკვების რაციონის გაზრდა, ხშირი კვება და რაციონში ცხიმოვანი ან ნახ-



შიორწყლოვანი დანამატების შემოტანა. თუ დაუნის სინდრომის მქონე ადამიანები დაიცავენ რაოდენობრივად და თვისობრივად დაბალანსებულ დიეტას, რომელიც შეიცავს ოთხი ძირითადი ჯგუფის საკვებს (ა. ხორცეული, თევზეული, და კვერცხი; ბ.ხილი და ბოსტნეული; გ.ხორბლეული და პური; დ. რძე და რძის პროდუქტები) ისინი მიიღებენ ვიტა-მინებს, ამინომჟავებს, მინერალებსა და სხვა საკვებ ნივთიერებას, რომელიც სწორი ზრდისა და განვითარებისათვის არის აუცილებელი.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში ხშირია მხედველობის დარღვევა. არსებული მონაცემების მიხედვით, ბავშვების დაახლოებით 40% ახლომხედველია და 20% მორსმხედველი. ზოგიერთს

აღენიშნება საცრემლე მილის ბლოკირება, ხოლო ბევრ მათგანს - სიელმე, ქუთუთოს კიდის ანთება, ზოგჯერ თვალის სწრაფი მოძრაობები.

იმის გამო, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში ხშირია თვალის დისფუნქცია, მათ რეგულარული შემოწმება უნდა გაიარონ პედიატრ - ოფთალმოლოგთან. ნორმალური მხედველობა ნებისმიერი ბავშვისთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ, თუ ბავშვს გონებრივი ჩამორჩენილობა ახასიათებს, როგორც ეს უმეტესად დაუნის სინდრომის არსებობის შემთხვევაში ხდება, დამატებითი სენსორული დარღვევა კიდევ უფრო ზღუდავს ბავშვის ზოგად ფუნქციას და ხელს უშლის სწავლის პროცესში მის ჩართვას.



## წმიდა დიდმოწამენი, არგვეთის მთავარნი დავითი და კონსტანტინე 2(15) ოქტომბერი

წმიდა მოწამენი: ძმები დავითი და კონსტანტინე არგვეთის მთავრები იყვნენ „მეცნიერნი ძველისა და ახლისა სჯულისა ჭეშმარიტნი მორწმუნენი და გამოცდილნი და ახოვანნი წყობათა შინა ბრძოლათა“.

როცა ძმებმა ურჯულო მურვან-ყრუს შემოსევა შეიტყვეს შემწეობა სთხოვეს უფალს, შეკრიბეს ლაშქარი, ერს კი გაძლიერებული ლოცვები და დამისთევები დაუდგინეს.

ურჯულოები თავს დაესხნენ ფერსათის მთასთან დაბანაკებულ ქართველებს. ღვთის შენევნით ქართველებმა გაიმარჯვეს. გაბრაზებულმა მურვან-ყრუმ ურიცხვი ლაშქარი შეკრიბა. არაბებმა მოაოხრეს ყველაფერი, გადარჩენილმა მოსახლეობამ ტყეებს შეაფარა თავი. უთანასწორო ბრძოლაში დავითი და კონსტანტინე ტყვედ ჩავარდნენ.

მურვანმა ძლიერ მოინდომა ძმების მოდრეკა — „გამიგია თქვენი ვაჟუაცობის ამბავი. გირჩევთ დაუტეოთ ცუდი და ამაო სიტყუაი სიცოფისა თქუებისა და დაემორჩილოთ რჯულსა მუჰამედისა“. სასყიდლად პატივსა და სპასალარის წოდებას დაჰპირდათ.

წმიდა ძმებმა კატეგორიული უარი განაცხადეს ქრისტეს რჯულის უარყოფაზე. გამძვინვარებულმა მურვანმა ბრძანა შიმშილითა და წყურვილით დაეუძღურებინათ ძმები. ათი დღის „მრავალფერი ტანჯვის შემდეგ“ მან მოგვნი და მისანნი წარავლინა არგვეთელ წმიდანთა წინაშე, მაგრამ მოწამებმა ისევ უშიშრად ალიარეს ქრისტე.

ძმები წმიდა კოზმანისა და დამიანეს ტაძრის მახლობლად, მდინარის ნაპირას გაიყვანეს, სასტიკად გვემეს, მერე ხელ-ფეხი შეუკრეს, ქედზე ლოდები მიაბეს და მდინარეში გადააგდეს.

ლამით მოხდა სასწაული. ზეციდან მინაზე სამი ნათელი სვეტი გარდამოვიდა, შუქმა გაანათა იქაურობა. ღვთის ნებით, მოწამებს „ლოდნი შემოეძარცვნეს ქედთა მათთა“ და წმიდა სხეულები წყლის ზედაპირზე ამოტივტივდა. მთავართა მსახურებმა ცხედრები ნაპირზე გამოასვენეს. უცებ მათ მოესმათ ნათლის სვეტიდან გამომავალი ხმა: „ალიქუენით გუამნი წმიდითა მაგათი მოწამეთანი და წარიყვანენით ტყით კერძო აღმოსავალით და სადა-იგი გნთდესთ, მუნ დაკრძალენით წმიდანი ეგე გუამნი მოწამეთანი, რამეთუ მუნ არს ბრძანება უფლისა ღრმთისა, რათა გებისა თანა არსთასა იყვნენ მუნ გებულცა გუამნი წმიდათა მოწამეთანი“.

მოწამეთა წმიდა ნაწილები დაკრძალეს წყალწითელას ნაპირზე მდებარე მურვან-ყრუს მიერ დარღვეულ ეკლესიაში.

ამჟამად მოწამეთა წმიდა ნაწილები, მოწამეთას ეკლესიაში, სარკოფაგში არის დაბრძანებული.

## პრეტრაქტურები

ლეონიდ იცდოლევის წიგნიდან  
„მათთვის, ვინც საინვალიდო ეტლში ზის და მათ გვერდზე დგას“

არსებობს ზურგის ტვინის ტრავმის და მასთან დაკავშირებული უმოძრაობის კიდევ ერთი, ძალიან



არასასაიამოვნო შედეგი, კონტრაქტურები, (თეძოს, მუხლის და ტერფების, ზოგიერთ შემთხვევაში მხრისა და იდაყვის) სახსრებში მოძრაობის შეზღუდუ-

ლობა. საქმე იმაშია, რომ სახსრებში გამშლელი და მომხრელი მოძრაობის წარმართველი კუნთები შეიძლება პარალიზებული იყოს სხავდასხვა ხარისხით, რის გამოც სახსრებში იზღუდება მოძრაობა იმ ხარისხით, რა ხარისხითაც არის განვითარებული ამ კუნთების დამბლა და ამძიმებს

მწოლიარე პაციენტის ისედაც მძიმე მდგომარეობას. ამას შეიძლება დაემატოს, მაგალითად, არა მარტო ხერხემლის, არამედ კიდურების მოტეხილობის დროს თაბაშირის ბანდაჟები. სახსრების ხანგრძლივი უმოძრაობა იწვევს სახსრების რბილი ქსოვილების ცვლილებებს, ძარღვები, მყესები და კუნთები კარგავენ ელასტიურობას და მოქნილობას. გროვდება მარილები და სახსრები უფრო კარგავენ მოძრაობის უნარს. არის შემთხვევები,

როდესაც უფრო ხშირად წარმოიქმნება მომხრელი კონტრაქტურა, რომელიც არ აძლევს, მაგალითად, მენჯ-ბარძაყის სახსარს მოხრის და ბარძაყზე მუცლის დადების საშუალებას. ან, ტერფი რჩება გაჭიმულ მდგომარეობაში ისე, როგორც ბალერინას და არ იძლევა ფეხზე დგომის საშუალებას, მაშინაც კი, როცა დამბლა დროთა განმავლობაში გაივლის.


რა თქმა უნდა, კონტრაქტურების წარმოშობის მიზეზი იმალება თვით ზურგის ტვინის ტრავმის ბუნებაში, მაგრამ მისი განვითარების და სიმძიმის დონე — როგორც წესი, ავადმყოფის ნათესავების და იმ ადამიანების უცოდინრობის შედეგია, რომლებიც ტრავმის პირველ დღეებში და კვირეებში უვლიდნენ პაციენტს. კონტრაქტურებს რომ არ მივცეთ განვითარების საშუალება, ნებისმიერი ტრავმის ნებისმიერი სიმძიმის დროს საჭიროა კიდურების ყველა სახსრის დამუშავება. უნდა მოვხაროთ ისინი ყოველ სეანსში რამდენიმე ათეულჯერ. უნდა დავაკვირდ-

ეთ ყოვე დღე, ხომ არ განვითარდა მოძრაობის შეზღუდულობა რომელიმე სახსარში, ხოლო მოძრაობის შეზღუდულობის შემჩნევის შემთხვევაში მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება და ტკივილის წარმოშობის დროსაც კი ჩავატაროთ პროცედურა ძალის გამოყენებით. ძირითად წესად უნდა იქცეს — სისტემატურობა, და შეუპოვრობა. ათასჯერ უარესი იქნება თუ დავეყრდნობით ლმობიერებას და დავზოგავთ პაციენტს, რის გამოც წარმოიშობა კონტრაქტურები და შემდგომში შეუძლებელი იქნება მათი ლიკვიდაცია ტალახებით, სამკურნალო ფიზკულტურითა და ოპერაციის გზითაც კი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ზურგზე მწოლიარე პაციენტის ტერფებს. ტერფები უნდა იყოს კანჭის პერპენდიკულარულ მდგომარეობაში. თუ ფეხები იმყოფება პორიზონტალურ მდგომარეობაში, მაშინ ტერფები უნდა იყოს მაქსიმალურად მოღუნული (თავისკენ მიმართული) და უნდა ეყრდნობოდეს სწორ ფანერს, რომელიც მიმაგრებული იქნება სანოლის ზურგს. აგადმყოფის მუცელზე გადაბრუნების დროს ტერფები ნახევრადმოხრილ კანჭებზე უნდა ეკიდოს თავისუფლად. ხოლო მოძრაობის შეზღუდულობის (კონტრაქტურის) გამოვლენის შემთხვევაში, ვარჯიშები და მასაუი უნდა გაძლიერდეს კანჭის კუნთებზე და ტერფების სახსარში. აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარდეს ტერფის მოხრა-გაშლის იძულებითი

ვარჯიშები.

ძალიან სამწუხაროა, რომ ტრავმის შემდეგ უკვე ფიზიკურად ჯანმრთელ ადამიანებს არ შეუძლიათ მოხერხებულად სავარძელში ჯდომა, მანქანაში მსუბუქად შესვლა ან სპორტის რომელიმე სახეობაში ვარჯიში იმის გამო, რომ გააჩნიათ გამოუსწორებელი კონტრაქტურები. ამიტომ, ეს რომ არ მოხდეს, ყველამ უნდა იცოდეს კონტრაქტურების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები.



## გურიის რეგიონის ინვალიდთა ასოციაციის მორიგი პროექტი წარმატებით სრულდება

გურიის რეგიონის ინვალიდთა ასოციაცია 1992 წლიდან ანხორ-ციელებს ” ურეკის მაგნიტური ქვიშის გამოყენებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასვენებისა და რეაბილიტაციის პროექტს”.

2006 წლამდე ინვალიდთა ასოციაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასასვენებლად იყენებდა რუსთავის მაშინდელ სს ”აზოტის” კოტეჯებს. ”აზოტის” გაყიდვის შემდეგ ახალმა მფლობელმა დამალა არსებული კოტეჯები.

2006 წელს ინვალიდთა ასოციაციამ ურეკში შეიძინა მიწის ნაკვეთი და ააშენა 22 ადგილიანი კოტეჯი, რომელიც ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილებისათვის, სადაც ამჟამად მიმდინარეობს პროექტი.

მიმდინარე პროექტის წარმატებით განხორციელებას დიდად შეუწყო ხელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ პროექტის დროულად და სრულად დაფინანსებამ. თუ ადრე ასოციაცია სპონსორის ძიებაში ხარჯავდა დიდად დროსა და ენერგიას, ბოლო სამი წელია ოზურგეთის მუნიციპალიტეტი გვერდში უდგასასოციას. კარგი იქნება, თუ ამას ჩატარებული მუნიციპალიტეტები ასევე გაითვალისწინებენ მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემებს და მომავალი წლის საკურორტო სეზონისათვის გამოძებნიან თანხას მათ დასასვენებლად. გურიის რეგიონის ინვალიდთა ასოციაცია მათაც

სთავაზობს უფასო ბინას.

ამჟამად ურეკში 20 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი აგრძელებს დასვენებას, რომელიც დასრულდება 2009 წლის 15 სექტემბერს და სულ მიმდინარე სეზონზე დაისვენებს 79 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. მათი ჩაყვანა ზღვაზე ხდებოდა ეტაპობრივად.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან სულ უფრო მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ჩამოდის ურეკში დასასვენებლად. ასე იყო წელსაც.

ურეკში დასასვენებლად მყოფ გურიის რეგიონის ინვალიდთა ასოციაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სტუმრად ეწვიონენ ქუთაისიდან ურეკში დასასვენებლად ჩამოსული ყრუ-მუნჯთა საზოგადოების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების თაოსნობით და ოზურგეთის რაიონის სპონტის განვითარების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით, ურეკში ”იმედის“ ქალაქში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შორის ჩატარდა სპორტული შეჯიბრი ნარდში, შაშში და მკლავჭიდში, რომელიც მიეძღვნა რუსეთ-საქართველოს ოში დალუპულ ქართველი ვაჟაპატარის ხსოვნას. ღონისძიებაში მონაწილეობის დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრით.

მსგავსი ღონისძიები ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების როგორც დასვენებას, ასევე მათ დაახლოებას და დამეგობრებას.

**რომან ლომაძე**  
გურიის რეგიონის ინვალიდთა ასოციაციის თავმჯდომარე



## გურჯაანში შეზღუდული შესაძლებლობების მეორე პირთა ცენტრი გაუქმდა

ტელეკომპანია „გურჯაანის“ ვებ-გვერდიდან (23.06.09) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი ცენტრი გურჯაანში უკვე ერთი თვეს აღარ ფუნქციონირებს. ცენტრმა მუშაობა პროგრამის დასრულების გამო შეწყვიტა. კერძო პროექტს დონორი ორგანიზაციები აფინანსებდა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი ცენტრი ერთადერთი იყო გურჯაანში, სადაც უნარშეზღუდულები სხვადასხვა სახელობრ საქმეებით იყვნენ დაკავებულები. (სტილი დაცულია)

## წერილი რედაქციას

პატივცემული რედაქტორი.

ნება მაბრძეთ ულრიქესი მაღლობა მოგახსენით იმ ყველაფრისათვის, რაც თქვენ ჩემთვის გააყეთით. თქვენი წყალიბით უკავ ყველასაგან მავაწყებულმა ჩემმა ლექსებმა და ნახავებმა დღის სახალხო იხალეს და ახალი საცოტელი შეიძინეს. თუ რა ბეჭი ეწევთ მომავალში ჩემს ესყაბებს, ეს უკავ ლვის გადასახვეცემა. ფურნალი „მეცა+“-ს რედაქტორმ ყველაფრი გააყეთით, რომ მთა, გზა გახსნილია.


ლექტორმა გაკუყრისით და გაგძლიერით იმ დღის საკუთარისათვის, რასაც თითოეული თქვენგანი ახე უშერძელოდ და დაყვალებლოდ აყეთებს ჩემსათვანი ბეჭით და ჩაგრული აღმასწერისათვის.

მაღლობა ყველას, ყველას და ყველას. საუკეთესო სურვალებით და ლრმა პატივსცემით.

მარინე ქაცილბაზა.

P.S. უურნალის სარედაქციო საბჭო დიდხანს მსჯელობდა გამოექვეყნებია თუ არა ეს წერილი, რომელიც მარინე ქაცილბაზამ უურნალის მეითხველებისათვის მისი შემოქმედების გაცნობის შემდეგ გამოგვიგზავნა.

ჩვენ ვერიდებოდით იმას, რომ წერილის შინაარსი, მეითხველს რედაქციის მისამართით ქება-დიდებად არ ჩაეთვალა, მაგრამ, გადაწყვეტილება დაბეჭდვაზე მიგვაღებია იმან, რომ შემოქმედებითი ნიჭის მქონე პირებისათვის მიგვეცა მორიდებისა და თავშეკავების გადალახვის სტიმული, რათა რედაქციის შესაძლებლობის ფარგლებში ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდეს მათი შემოქმედება და ნაფიქრ-ნალვაზი.



დღესასწაული კვართისა საუფლოსა და სვეტი-სა ღვთისბრწყინვალისა და მირონმდინარისა; მცხეთობა — სვეტიცხოვლობა  
1 (14) ოქტომბერი

მცხეთაში მცხოვრები ებრაელების მეშვეობით ქვეყანაში ცნობილი გახდა ისრაელში მომხდარი მოვლენები: იესოს შობა და მოგვების თაყვანისცემა.


ოცდაათი წლის შემდეგ იერუსალიმიდან იუდეველთა მღვდელმთავარმა და სინედრონმა მოციქული გამოგზავნა მცხეთელ ებრაელებთან: “რომლისათუის იგი მოვიდეს მოგვინი და შესწირეს ძლვენი. აღზრდილ არს იგი და იტყუის თავსა თვესა ძედ ღმერთისა და სხუასა რასმე ახალსა სჯულ-სა გვქადებს და ან წარმოგვლენია მოციქული ყოველთა თანა ჰურიათ, რათა მოვიდენ მეცნიერნი სჯულისანი. მოვედით უკავ ყოველნივე მოსეს სჯულისა თანამდებნი და განვაბჭოთ მას ზედა”. ქართლიდან სინედრიონის ბჭობაზე წავიდნენ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. ელიოზის დედამ შვილს სთხოვა, წილი არ დაედო მესიის სისხლის დანთხევაში “რამეთუ ის არის სიტყვა წინას-ნარმეტყველისა და იგავი ბრძენთა თქმული”.

როცა მაცხოვარი გოლგოთაზე ჯვარს აცვეს, ელიოზის დედამ მცხეთაში გაიგონა ჩაქუჩის ხმა “საშინელითა კრჩიალებითა” დაიძახა: “მშვიდობით მეუფეობა ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალთ თავისა მაცხოვარი და მხსნელი და იქმენით ამიერთაგან მტერშემოქმედისა!”. და მყისვე აღესრულა.

როცა უფლის კვართზე წილი ჰყარეს, ღვთის განგებულებით, იგი მცხეთელებს შეხვდა. ელიოზმა და ლონგინოზმა კვართი ქართლში წარმოასვენეს. მცხეთას მოსულ ელიოზს წინ შემოეგება დაი თუ ისი სიდონია. მან გულში ჩაიკრა კვართი მაცხოვრისა, ტირილით და გალობით მოისმინა ძმისა-გან ჯვარცმის ამბავი და სული განუტევა. ეს სასწაული სწრაფად გახმაურდა მთელს ქართლში. მომსვლელებმა იხილეს, რომ სიდონიას გაციებული მკლავებიდან კვართი ვერ მოაშორეს. ელიოზმა სიდონია წმინდა კვართთან ერთად დაკრძალა. საფლავზე კვიპაროსის ხე ამოვიდა. შემდეგ ამ წმინდა ადგილზე აღაშენეს დიდებული ტაძარი (სვეტიცხოველი), სადაც იმართება დღესასწაული მცხეთობა — სვეტიცხოვლობა.

მკითხველს ვთავაზობთ ადამიანის ფიზიკური თვისებების (ძალის, სისწრაფის, გამჭვირების, სიმაღლის და მოძრილობის) განვითარებელ ვარჯიშთა კომპლექსებს, რომელიც შეუძლიათ გამოიყენონ რვას აირობებში ვარჯიშისათვის.

## ძალის განვითარებელ ვარჯიშები




1.1. ს.მ.(საწყისი მდგომარეობა) ფეხშლით დგომი—ხელში გვიჭირავს ხელის მტევნის განმავითერებელი ესპანდერები.

დავალება — ხელის მტევნით ესპანდერების მოქერა და გაშლა.

2. იგივე განმკლავში.


3. იგივე ზემკლავში.



2.1. ს.მ. მუხლებით დგომი, პირით კედლისკენ 0,5-07 მ. დაშორებით. დავალება — კედლზე ყრდნობა ხელების მოხრით და გაშლით.

2. იგივე, მხოლოდ ფეხზე დგომში კედლიდან 0,5 მ. დაშორებით.

3. იგივე, მხოლოდ კედელზე ფეხზე დგომში ყრდნობამდე წინ ტაშის შემოკვრით.




3.1. ს.მ. ფეხშლით დგომი. შესაბამისი წონის ჰანტელები ორივე მოხრილი ხელით გვიჭირავს მკერდის წინ.

დავალება — ხელების განმკვლავი, იდაყვებში მოხრაგაშლით.

2. იგივე, მხოლოდ ს.მ. ფეხშლით წინზენექი.

3. იგივე, მხოლოდ ტანვარჯიშულ სკამზე მუცელზე წოლით მდგომარეობაში.




4.1. ს.მ. ფეხშლით დგომი. შესაბამისი წონის ჰანტელები ორივე მოხრილი ხელით გვიჭირას მხრების ზემოთ.

დავალება — ჰანტელების აწევა ხელების მოხრა-გაშლის ხარჯზე.

2. იგივე, მხოლოდ ტანვარჯიშულ სკამზე ჯდომში.

3. იგივე, მხოლოდ ზურგზე წოლით მდგომარეობაში.




5.1. ს.მ. ტანვარჯიშულ სკამზე ორივე ხელებით ყრდნობა. ფეხები გაზიდულია უკან და ცერებით ეყრდნობა იატაკს.


დავალება — ხელების მოხრა-გაშლით ტანვარჯიშულ სკამზე ტანის აწევა (აჭიმვა). სუნთქვა არ შევიკავოთ. ჩასუნთქვა ხელების მოხრამდე. ამოსუნთქვა გაშლამდე.

2. იგივე, მხოლოდ ზედა და ქვედა კიდურებით იატაკზე ყრდნობით.


3. იგივე, მხოლოდ ფეხები დადებულია ტანვარჯიშულ სკამებზე, ხელებით ვეყრდნობით იატაკს.




- 6.1 ს.მ. იატაკზე ჯდომი. ხელებით ზურგს უკნიდან ვეყრდნობით იატაკს.  
დავალება — ზურგს უკან ყრდნობის მგომარებაში ხელების მოხრა-გაშლით.
2. იგივე, მხოლოდ ტანვარჯიშულ სკამზე ხელების ყრდნობით.
  3. იგივე, მხოლოდ ორ ტანვარჯიშულ სკამზე ხელების და ფეხების ყრდნო-ბით.




- 7.1. ს.მ. ორ სკამს შორის ფეხზე დგომი. ორივე ხელებით ვეყრდნობით სკა-მების ზურგს.
- დავალება — სკამების ზურგზე ბჯენში ხელების მოხრა და მუხლებში ჩაჯ-დომა (ხელების გამართვის დროს ჩასუნთქვა, ამოსუნთქვა ხელების მოხრის დროს).
- 2 იგივე, მხოლოდ მუხლებში მოხრილია ფეხები
  - 3 იგივე, მხოლოდ სკამის ზურგზე ბჯენში



- 8.1. ს.მ. ფეხშლით დგომი. ხელები თავისუეან მოხრილია იდაყვებში. ორივე ხელით გვიჭირავს ელასტიური ბანტის ბოლო. ხოლო ელასტიური ბანტის შუა-ში ვეყრდნობით ფეხებით.
- დავალება — ხელები მოვხაროთ და გავშალოთ სახსრებში ისე, რომ არ დაუშვათ ძირს იდაყვები.
2. იგივე, მხოლოდ ტანვარჯიშულ სკამზე ჯდომში.
  3. იგივე, მხოლოდ იატაკზე წოლით მდგომარეობაში.



- 9.1. ს.მ. იატაკზე ზურგზე წოლა. ხელები ტანის გასწვრივ.
- დავალება — წინზექი, ხელების გამართული ფეხის თითებთან მიტანა, საწყის მდგომარეობაში დაბრუნებით.
2. იგივე მხოლოდ ხელების თავთან მიტანით .
  3. იგივე მხოლოდ ხელები მაღლა ზემკლავით წინზექი.



- 10.1. ს.მ. პირველი პარტნიორი წევს მუცელზე. ორივე ხელის განმკლავი. მეორე პარტნიორი ჩაჯდომა, ხელებით აწვება პარტნიორის ფეხების წვივებს. დავალება — პირველი პარტნიორი ერთდროულად წელში იზნიქება, თავი უჭი-რავს მაღლა, ხელების ზემკლავი უკან გაზნექით (გადატანით);
2. იგივე, მხოლოდ პირველ პარტნიორს ხელში უჭირავს 1-2 კგ წონის ჰან-ტელები.
  3. იგივე, მხოლოდ პირველ პარტნიორს ხელში უჭირავს 2-3 კგ. წონის ჰან-ტელები.

## ქართული ქვეყნის სამართლის ხიდები

აჭარაში დაცული ქვისთალიანი ხიდები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადრე-ფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლთა საყურადღებო ჯგუფს შეადგენს. ბოლო დროის მონაცემებით კი მათი რიცხვი 25-მდე აღნევს. ამ ხიდების მშენებლობის საკითხებზე სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ზოგი ფიქრობს, რომ მათი მშენებლობა თამარის ხანას ეკუთვნის. 6.პერძენიშვილი მიუთითებს, რომ ყველა ისინი (ქვისთალიანი ხიდები) არ შეიძლება იყოს თამარის ხანის და მისი ნამოღვანარი. მათში, უკველია, არაერთია უფრო ძველი ხანის.

აჭარაში დაცული ქვისთალოვანი ხიდები ჭეშმარიტად ქართული სტილის ხიდებია. წარსულში იყო ცდები, რომ ისინი ხან ვენეციურად და ხან გენუელთა მიერ ნაგებ ხიდებად მიეჩნიათ, მაგრამ მეცნიერებმა, მათ შორის უცხოელმა სწავლულებმაც აღიარეს, რომ ქვისხურობაში ქართველებს თვითმყოფადი კულტურა და სტილი აქვთ, ეს კულტურა მათი შემოქმედებითი განვითარების ნაყოფია და ამ დარგში მათ ბიზანტიულებსაც კი გადააჭარბეს.

### ბებია-ბაბუების მიერ ნასწავლი მეტეოროლოგია

— ტოროლების ადრე მოფრენა თბილი გაზაფხულის მაუწყებელია. თუ ტოროლის გალობა განთიადიდანავე არ ისმის — გაწვიმდება. — თუ ფრთოსნები ბუდეებს მზიან მხარეზე აკეთებენ, გრილ ზაფხულს ელოდე. — თოლიების ხშირი ბანაობა ავდრის მომას-ნავებელია.

სიცოცხლე მხოლოდ მაშინ არის კარგი, როდესაც სიყვარულის სხივითაა გამთბარი.

გოეთე

ქართველი ტანმოვარჯიშები პირველად 102 წლის წინათ (1907) გამოჩნდნენ პრაღის საერთაშორისო შეჯიბრებაში, 1912 წელს კი, ისევ პრაღაში, 393 გუნდიდან მათ საპრიზო ადგილები ფაიკავეს.

## მთავარი

შემდეგი რუსული ტერმინების ქართული შესატყვისებია: „კრიუონიკს“ — ხურტყმელი ენოდება, „მალინას“ — ჟოლო, „ჩერნიკას“ — მოცვი, „ბრუსნიკას“ — ნითელი მოცვი, „ჩორნაია სმაროდინას“ — შავი მოცხარი.

სადგამს, რომელშიც სანთელს ამაგრებენ, სასანთლე კი არა, შანდალი ენოდება.

### ალჩუ დაუჯდა

ქართული ხალხური გამოთქმაა, ნიშნავს: გაიმარჯვა, მოიგო, წარმატება მოიპოვა, ბედს ეწია. ბავშვები რომ კოჭაობენ ვისი კოჭის მოღრმავებული ნაწილი — ალჩუ მაღლა მოექცევა, ხოლო მეორე მხარე — თოხანი — დაბლა, ეს გამარჯვებულად ითვლება. ალჩუ დაუჯდა, ალჩუზე დაუჯდაო.

ხის ღობეს მესერი ჰქვია, რკინისას — გისოსი ან ცხაური, ქვისას — ყორე, აგურისას — გალავანი.

### რატომ ვამბობთ: თელავი



მეცნიერული ეტიმოლოგია განმარტავს, რომ „თელავი“ წარმოშობილი უნდა იყოს მცენარე თელასაგან — ავ სუფიქსის დართვით. ამრიგად, თელავი ნიშნავს თელიანს, თელებით მდიდარ ადგილს. მართლაც, ისტორიულად თელავის მიდამოები მდიდარი ყოფილა თელებით.

— ვინც ბევრს გპირდება, ნაკლებად უნდა მიენდო.

### ჰორაციუსი

— ვიდრე ძალი ძვალს ღრღნის, ნუ მიეკარები.

კოროჩნიკი



ISBN 1987-7161